სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 აგვისტო 2000 №157 (1179) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოთხმეტე საუკუნის ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.
16 აგვისტო. 18.30 საათი. თეირანი. „არადი“. 20 000 მაყურებელი

ირანი 2:1 საქართველო

1:0 ჯამშიდი (4), 2:0 მაჯიდი (27), 2:1 ყაველაშვილი (70)

გუშინდელი ოთხშაბათი ფიფას კალენდრით საერთაშორისო სანაკრებო შეხვედრათა დღე იყო.

ზოგმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო, ზოგმა მისთვის მზადება განაგრძო. ვინ ამხანაგურად ითამაშა, ვინაც ოფიციალურად. ანდორას სძლია ესტონეთმა (დიდი ამბავი, განა საქართველოს არ მოუგო?), საფრანგეთის ფერხთით ისევ განერთხო მთელი მსოფლიო. ჰოდა, აბა რალა გასაკვირია, თუ ქართველები ამჯერადაც დამარცხდნენ.

ოქტომბერში ლიბანში გასამართი აზიის თასისთვის სამზადისში ირანის მწვრთნელმა ჯალალ თალებიმ საქართველოს ნაკრებს ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები დაუბირისპირა. არც გერმანული „ჰერტას“ ალი დაეი, არც „ჰამბურგის“ მეჰდი მაჰდავიკია, არც „შალკეს“ აბდელაზიზ აჰინფუფი, არც ინგლისური „ჩარლტონის“ ჭარიმ ბაგერი და არც ამერიკული „სან ხოსეს“ ხოდადად აზიზი. ირანელებმა უამათოდაც საგრძნობი უპირატესობით დაამარაცხეს შოთა არველაძე, ქეცბაია, ჯამარაული, ყაველაშვილი, კობიაშვილი, ნემსაძე და კომპანია.

ფიფას კალენდარი ერთია და ამჟამად სპარსული კალენდრით 1379 წელია. ირანმა და საქართველომ გუშინ მეთოთხმეტე საუკუნის ფეხბურთი ითამაშეს...

იხილეთ მეორე და მესამე გვერდები

REUTERS მარსელიდან

საფრანგეთი — ფიფა 5:1. ფიფას განელი სამუელ კუფური (№3) ტიერი ანრის წინააღმდეგ

4

ბათრაზ ბითაროვი: ჩვენი მიზანი აშვეთიას და წერეთლის დისკვალიფიკაციაა

10

ევროშუქარის პირველი შედეგი

ვის გინდათ დევიდ ბექემი ოთხ მილიონად?

ირაკლი ვაშაკიძე

გუშინ ქართულ კალათბურთს ახალთაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე, ირაკლი ვაშაკიძე გამოაკლდა.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე თბილისის „დინამოს“ წევრი გახდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მიიღო მონაწილეობა.

ქართული კალათბურთის დამოუკიდებლობას „დინამოს“ რიგებში შეხვდა. მერე კი კარიერა „ვითაში“ გააგრძელა. ამ ორი გუნდის შემადგენლობაში რამდენჯერმე გახდა საქართველოს ჩემპიონი.

საქართველოს ეროვნული ნაკრების დაარსების დღიდან ირაკლი ვაშაკიძე მისი წევრი იყო და არაერთ მატჩში დაიცვა ქვეყნის ღირსება.

ითამაშა უცხოეთშიც. თავდაპირველად ისრაელის ლიგაში, შემდეგ რუსეთში, ჯერ მოსკოვის „სპარტაკში“, მერე კი „ბკ სამარაში“ თავისი უკანასკნელი სეზონი გაატარა.

მომავალი სეზონისთვის თბილისში ემზადებოდა...

20 აგვისტოს ირაკლი ვაშაკიძე 31 წლის გახდებოდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ევროპა

II ჯგუფი

ესტონეთი 1:0 ანდორა

1:0 რეიმი (64პ)

ესტონეთი: ტოპვერი, ლემსალუ, სტეპანოვი, ალასი, როობა, ალონენი (ანსტე 64), ტერეხოვი, ოპერი, პიიროია (იურისონი 73), რეიმი, ზელინსკი (უსტრიცკი 87)

ანდორა: ხ. ალვარესი, ფ. ალვარესი (ფორია 71), გარსია, იონასი, სონეიე, ლიმა, გონსალესი (მ. პუიოლი 74), ესკურა, სანჩესი, ხიმენესი, რუისი

მსაჯი: ზორან არსიჩი (იუგოსლავია)

1 695 მაყურებელი

ამხანაგური მატჩები

ჩეხეთი 0:1 სლოვენია

0:1 პავლინი (59)

ჩეხეთი: ბლაჟეკი, ნიკლი (ვ. ვლჩეკი 78), რადა, ლ. დოშეკი (ფუკალი 84), ბოლფი, კოლომაჟნიკი (ს. ვლჩეკი 53), იანკულოვსკი, ჰორვატი, ბეიბლი (იაროშიკი 46), კოლერი (კინზლი 75), პაინცი (ვერბირი 53)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, ბულაიჩი, კარიჩი (ტავკარი 46), ჩეპი, ნოვაკი (გაიზერი 46), პავლოვიჩი (ვუგდალიჩი 81), პავლინი (ზლოგარი 89), შილიაკი (უდოვიჩი 46), რუდონია (ოსტერეი 64)

მსაჯი: ატილა ჰანაშეკი (უნგრეთი)

4 828 მაყურებელი

რუსეთი 1:0 ისრაელი

1:0 ბუზნიკინი (83)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ხოხლოვი (ლოსკოვი 68), სმერტინი, სოლომატინი, სემაკი, ონოპკო, კარპინი, ალეინიჩევი, პანოვი (ბუზნიკინი 46), ბესჩასტნიხი (მოსტოვოი 46)

ისრაელი: ელიმელეხი, ხარაზი, კეისი, შელახი, ბრომერი, ტალქარი, ბანინი, ნიმნი (ტელასნიკოვი 86), ბადირი (ჰასანი 68), ბერკოვიჩი, ბალალი (ბენაიონი 68)

მსაჯი: სლავიკ კაზარიანი (სომხეთი)

10 000 მაყურებელი

რუმინეთი 1:1 პოლონეთი

1:0 ილიე (21), 1:1 ოლისადებე (79)

რუმინეთი: სტელია (ლობონტი 46), ჩობოტარიუ, კირიტა, გალკა (ტამეში 71), ბელოდედიჩი, მუტუ (როსუ 80), დ. მუნტეანუ (მალდარასანუ 85), ილიე (მოლდოვანი 21), კივუ, განეა (კ. მუნტეანუ 60), კონტრა (პეტრესკუ 63)

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი (პაიტო 46), ბაკი, მიხალ ყევლაკოვი (კოზმინსკი 46), ვალდოხი, კრეინოვეკი (კიელბოვიჩი 80), სვიერჩევსკი, ივანი (კარვანი 60), კალუჟნი (ზდებელი 63), მარჩინ ყევლაკოვი, ოლისადებე

მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

6 000 მაყურებელი

ფინეთი 3:1 ნორვეგია

1:0 ლიტმანენი (24), 1:1 პელსტადი (54), 2:1 ლიტმანენი (61), 3:1 კუკი (90)

ფინეთი: იასკელაინენი, ილონენი, ტურპინენი, ჰიიპია, ტიჰინენი, ნურმელა (კუკი 75), ვისი (რიიპილაჰტი 90), ვალაკარი (კოპინენი 56), ფორსელი (კოტილა 81), ლიტმანენი (სალი 65), კოლკა (საარინენი 66)

ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, ბრაგსტადი (ჰოფტუნი 46), ბერგი (ეგენი 81), ბიორნებიუ, ივერსენი (იოჰანსენი 71), ანდერსენი, ჰელსტადი, კარეუ, რისეტი, რიისე (სვინდალ-ლარსენი 46)

გაძევება: ბიორნებიუ (90)

მსაჯი: მარიო ვან დერ ენდე (პოლანდია)

10 748 მაყურებელი

ფარერები 0:2 დანია

0:1 სანდი (56), 0:2 სტენ ნილსენი (59)

ფარერები: მიკელსენი (კნუდსენი 46), იოჰანესენი, ი. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ჰ. ჰანსენი, იოენსენი (ბენჟამინსენი 68), არგე (კ. მოერკოერე 68), ჯ. იონსონი, ა. მოერკოერე (იარნსკორი 70), ტ. იონსონი, ი. პედერსენი (იაკობსენი 82)

დანია: შმაიხელი, გოლდბეკი (ნილსენი 46), ჰენრიკსენი, გრავესენი (ფრანდსენი 69), ჰაინცე, ჰელვეგი (ლუსტუ 81), სტენ ნილსენი, იენსენი, ტომასონი (იოჰანსენი 46), რომედალი (ბისგაარდი 81), სანდი (ჰ. პედერსენი 69)

მსაჯი: იონ სკიერვოლდი (ნორვეგია)

6 478 მაყურებელი

ბულგარეთი 1:3 ბელგია

0:1 ვერჰეიენი (16), 0:2 ე. მპენზა (29), 0:3 ვერჰეიენი (60), 1:3 ილიევი (65)

ბულგარეთი: გოსპოდინოვი (ივანკოვი 46), ბორიმიროვი (პეევი 46), იორდანოვი, სტოიანოვი (ტომასი 72), პაჟინი (კირილოვი 58), მარკოვი, ს. პეტროვი, პეტკოვი, ბალაკოვი (მ. პეტროვი 46), ხრისტოვი (ილიევი 46), ტოდოროვი (დონკოვი 63)

ბელგია: დე ვლიგერი, დეფლანდრე (ჯ. პეტერსი 46), ვალგაერენი, ვან მეირი, ვან კერკჰოვენი, ვანდერჰეიგი (ბასეჯიო 61), ვილმოტსი (ვალემი 61), გოორი (ჰენდრიქი 61), ე. მპენზა (მ. მპენზა 73), დე ბილდე (ბ. პეტერსი 46), ვერჰეიენი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

2 000 მაყურებელი

პორტუგალია 5:1 ლიტვა

1:0 ჟოაუ პინტუ (31), 2:0 ფიგუ (38), 2:1 ფომენკა (44პ), 3:1 რუი კოშტა (47), 4:1 სევერუ (80), 5:1 პაულეტა (86)

პორტუგალია: ვიტორ ბაია (ეშპინია 46), ჟორჟე კოშტა (სევერუ 46), ნელსონი (სეკრეტარიუ 57), ფერნანდუ კოუტუ, დიმაში (რუი ჟორჟე 46), ვიდიგალი (კოშტინია 54), პაულუ სოუზა, ფიგუ (პაულეტა 50), რუი კოშტა, ჟოაუ პინტუ (სიმაო 46), ზა პინტუ

ლიტვა: რადიმანსკასი, კანჩელსკისი (რადზიუსი 84), გლეივეკასი, დ. ჟუტაუტასი (სოროკინასი 65), სემერა, ყვირგჟდაუსკასი, იუდეიკისი (ვენცევიჩიუსი 46), მიკალაიუნასი (გიედრიუსი 64), პრეიკშაიტისი, პოსკუსი, ფომენკა

მსაჯი: გრაციანო ჩეზარე (იტალია)

11 000 მაყურებელი

ბოსნია 2:0 თურქეთი

1:0 ბოლიჩი (39), 2:0 ტოპიჩი (90)

ბოსნია: გუსო, აკპაროვიჩი (კლაიჩი 90), მუინჯა, პუჯოროვიჩი, ვარესანოვიჩი, ჰიბიჩი, ბოლიჩი (მურატოვიჩი 90), საბიჩი, მუიჩინი (ტოპიჩი 46), სალიჰმიჯიჩი, ბალიჩი (იოლდიჩი 84)

თურქეთი: რუშთუ, უმითი, ბიულენთი (ოსმანი 77), ფათიჰი, ემრე (ჰაქან უნსალი 46), აბდულა (ერგუნი 46), ოკანი, სუათი (აჰმეთი 46), ჰაქან შუქური, დავალა უმითი (კარანი 83), ტაიფური

მსაჯი: დელჩე იაკიმოვსკი (მაკედონია)

10 000 მაყურებელი

გერმანია 4:1 ესპანეთი

1:0, 2:0 შოლი (24, 51), 3:0, 4:0 ციკლერი (57, 62), 4:1 რაული (70)

გერმანია: კანი, რემერი, ნოვოტნი, ჰაინრიხი (ლინკე 67), დაისლერი, რამლო, ბალაკი (ჰამანი 78), ბოდე (ბაინლიხი 46), შოლი (ნოივილი 65), იანკერი (რინკი 73), ციკლერი

ესპანეთი: სესარი, ველასკო (მანუელ პაბლო 46), აბელარდო, პაკო (ივან კამპო 46), ხუანფრანი, გვარდიოლა, ეჩეპერია, ხერარდი (გუტი 46), მენდიეტა (ვიქტორი 46), რაული, დანი (ტამუდო 75)

მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

45 000 მაყურებელი

გერმანია — ესპანეთი 4:1. მეჰმეთ შოლის ამ საჯარიმოს ესპანელთა კარში გოლი მოჰყვა

REUTERS ჯიმ ჰაინრიხი

სლოვაკეთი 1:1 ხორვატია

1:0 შ. ნემეტი (23), 1:1 ბალაბანი (28)

სლოვაკეთი: სუსკო (კონინგი 79), ვალახოვი, ვარგა, ტიმკო, ლეიტნერი, ბალიში (სლოვაკი 46), პ. ნემეტი (სედლაკი 64), დემო (უილაკი 71), ტომაშეკი (ჟურიკი 71), შ. ნემეტი (ბაბნი 81), იანჩულა (მესაროში 61)

ხორვატია: პავლოვი (პლეტიკოშა 46), სიმიჩი, შტიმაცი (ტუდორი 46), რ. კოვაჩი, სტანიჩი (ვრანიეში 76), ბისკანი, სოლდო (ბოშნიაკი 76), ნ. კოვაჩი (ტომასი 81), იარნი (ცვიტანოვიჩი 46), ბალაბანი (იურიჩი 90), პროსინეჩკი

მსაჯი: როდოშ ბენეში (ისრაელი)

4 200 მაყურებელი

შვეიცარია 2:2 საბერძნეთი

1:0 კომიზეტი (13), 1:1 უზუნიდისი (20), 1:2 გეორგიადისი (23), 2:2 ... იაკინი (79)

შვეიცარია: ცუბერბიულერი, მ. იაკინი, მიულერი (მაცარელი 85), ენჩოსი (მანინი 46), კანტალუპი (კაბასანი 79), ვიკი (ფერერე 85), ვოგელი (ესპოზიტო 67), კომიზეტი (ბუელმანი 65), სფორცა, სესა (რეი 60), ჰ. იაკინი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, დაბიზასი, უზუნიდისი, ამანატიდისი, მავროგენიდისი (ბასინასი 59), ზაგორაკისი, პურსანიდისი (ზიკოსი 75), გეორგატოსი (ვენეტიდისი 84), გეორგიადისი (ნალიზისი 83), ცარტასი (კარაგუნისი 65), ლიბეროპულოსი (კიპარისისი 83)

მსაჯი: ჰ. ფანდელი (გერმანია)

6 000 მაყურებელი

ჩრდ. ირლანდია 1:2 იუგოსლავია

1:0 ჰეილი (45), 1:1 კეუმანი (63), 1:2 მიატოვიჩი (78)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ნოლანი, ა. ჰიუზი, მერდოკი (გრიფინი 81), უილიამსი, უიტლი, ჯონსონი, მეჯილტონი, ჰეილი, მალრინი (ჯ. ქუინი 68), ჰორლოკი (გილესპი 73)

იუგოსლავია: კიკოვიჩი, დუდიჩი, ჯორჯევიჩი, გრუიჩი (ობრადოვიჩი 71), ბუნიევჩევიჩი, გროზდიჩი (ილიჩი 66), საკიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი (ჭეუმანი 56), დ. სტანკოვიჩი, ლაზეტიჩი

მსაჯი: ვილი იანგი (შოტლანდია)

6 095 მაყურებელი

ისლანდია 2:1 შვედეთი

0:1. მიალბი (23), 1:1 დადასონი (39), 2:1 სიგურდსონი (84პ)

5 116 მაყურებელი

მოლდოვა 1:0 მალტა

1:0 როგაჩოვი (45)

მოლდოვა: დინოვი (ხმარუკი 46), კოვალენკო, კატინსუსი, ტესტიმიციანუ (ოსიპენკო 65), რებეჟა, ს. სტროენკო, კურტიანუ (ბორეცი 67ჭ), ოპრია (ტანურკოვი 72), სოსნოვსკი (ტალპა 78), ეპურეანუ (შიშკინი 58), როგაჩოვი

მალტა: მუსკატი, ტურნერი (ჰოლანდი 46), კარაბოტი, საიდი, დერონო, დიმეში, ბუზუტილი, გიგლიო (ტუმა 52), სილა, კამილერი (ზარა 72), აგიუსი (ნვოკო 19, მალია 85)

მსაჯი: ჰასან ჰუდიევი (აზერბაიჯანი)

5 000 მაყურებელი

უნგრეთი 1:1 ავსტრია

1:0 ილეში (33), 1:1 კირხლერი (67)

უნგრეთი: კირალი, შებოკი, მატიუში, ჩ. ფეჰერი, ჰალმაი (დარდაი 56), კორსოში, ჰამარი (როსა 88), ლისტეში, ილეში (ლენდვაი 72), ჰორვატი, ტოკოლი (ჰერჩეგი 70)

ავსტრია: ვოლფარტი (მანინგერი 46), ჰაცი, ნოიკირხნერი, ვინკლჰოფერი (კუჰბაუერი 46), შტრანცლი, ფლოგელი, კირხლერი, ჩერნი, ჰერცოგი (კიტშბიპლერი 57), შოპი, რადფოიჩი (ბრუნმაიერი 68)

მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

5 000 მაყურებელი

ლატვია 0:1 ბელარუსი

0:1 ვასილიუკი (50)

1 930 მაყურებელი

იაპონია 3:1 საამირეთები

1:0 მორიშიმა (11), 2:0 ნაკამურა (27), 3:0 ოკუ (87), 3:1 ჰამადა (90)

32 402 მაყურებელი

ალბანეთი 0:0 კვიპროსი

6 000 მაყურებელი

უკრაინა — ჩინეთი

არ ჩატარდა

საფრანგეთი 5:1 ფიფა

1:0, 2:0, 3:0 ტრეზეგე (11, 27, 46), 4:0 პირესი (56), 5:0 ანელკა (78), 5:1 ბაჯო (79პ)

საფრანგეთი: ბარტეზი (რამე 46), კანდელა, ბლანი (ლებეფი 51), დესაი, ლიზარაზუ (კარამბუ 75), პეტი (პირესი 46), დეშამპი (ვეიერა 60), ზიდანი, დუგარი, ტრეზეგე (ანელკა 51), ანრი (ჯორკაეფი 46)

ფიფა: კიოპკე (სონგო 46), სონგი, ალდაირი (ფერარა 57), დუნგა (ალ მუვალადი 57), ვეტტი (ლასისი 46), ვინტერი (ბაია 46), მაოჟენ სუ (ჩულ იო 46), რ. ბაჯო, ნაკატა (ჯერემი 46), ნჯანკა (ტიამი 46), კუფური (ზე ელიასი 57)

მსაჯი: მოჰამედ ჯეზაზი (მაროკო)

60 000 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. 2:0 მანჩესტერ სიტი

ახალგაზრდული ნაკრებები

ბულგარეთი 3:3 ბელგია

1:0 ჟელევი (15), 2:0 ბუკარევი (22), 2:1 კლაოსი (40), 2:2 ჩეტილი (61), 2:3 სმოლდერსი (69), 3:3 ჟელევი (75)

100 მაყურებელი

რუსეთი 1:1 საფრანგეთი

1:0 მიჩკოვი (24), 1:1 ლუინდულა (37)

2 500 მაყურებელი

უკრაინა 2:2 ლიტვა

0:1 ზურნა (17), 1:1 ალექსეენკო (23), 1:2 ტრაკისი (25), 2:2 ბელიკი (73)

ჩეხეთი 3:1 სლოვენია

1:0 ურბანეკი (14), 2:0 კაუფმანი (22), 3:0 ზურეკი (34), 3:1 ბარუტი (52)

1 920 მაყურებელი

ფოტლანდია

IV ტური

კილმარნოკი 0:1 ჰიბერნიანი

0:1 პაატელაინენი (37)

8 672 მაყურებელი

მოზერუელი 0:1 დანფერმლაინი

0:1 მოსი (55)

5 257 მაყურებელი

იტალია

თასის II ტური

ატალანტა 1:0 რავენა

გრიგორი სურკისი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია

კიევის „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტი გრიგორი სურკისი გუშინ უკრაინის ფეხბურთის ხელმძღვანელად აირჩიეს.

სასტუმრო „კიევსკიში“ უფფ-ის მეოთხე კონგრესი გაიმართა, სადაც მთავარი საკითხი სწორედ ქვეყნის საფეხბურთო მმართველის არჩევნები იყო. უფფ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ვალერი პუსტოვოიტენკომ თავისი კანდიდატურა რამდენიმე დღის წინ მოხსნა, ამიტომ სურკისს, ფაქტობრივად, კონკურენტი აღარ ჰყავდა. მან 105 ხმა მიიღო ორის წინააღმდეგ...

ადგილობრივი ჟურნალისტები ახმაურდნენ, სურკისი უკრაინის პროფესიული ლიგის პრეზიდენტიცაა და ეს ყველაფერი ხელისუფლების უზურპაციას ხომ არ ნიშნავსო, მაგრამ სურკისმა ისინი დაამშვიდა, რახან უფფ-ის თავკაცად ამირჩიეთ, მაგ თანამდებობას დავტოვებო და პირობა შეასრულა. პროფესიული ლიგის დროებით პრეზიდენტად დონეცკის „შახტარის“ ვიცე-პრეზიდენტი რავილ საფიულინი დანიშნეს.

REUTERS კიევიდან

გრიგორი სურკისი

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.
16 აგვისტო. 18.30 საათი. თეირანი. „არადი“. 20 000 მაყურებელი

ირანი 2:1 საქართველო

1:0 ჯამშიდი (4), 2:0 მაჯიდი (27), 2:1 ყაველაშვილი (70)

კარგი რამაა ტელევიზორი

ქოჯა ინასარიძე

მატჩის მეათე წუთზე შოთა არველაძემ ბურთი მეტოქის კარის ძელს მოარტყა... ტაიმის ბოლოს თემურ ქეცბაიას უძლიერესად დარტყმულს ირანელმა მცველმა შეუშვირა თავი და თავისიანები გოლისგან იხსნა... შესვენების შემდეგ იმავე ქეცბაიასა და ყაველაშვილს გაუცუდდათ დარტყმები... მსაჯმაც ერთი-ორჯერ საეჭვოდ დაუსტვინა მასპინძელთა სასარგებლოდ... ჩვენს კარში დანიშნული პენალტიც პენალტს არ ჰგავდა... თეირანში თამაში ექვს საათზე დაიწყო და ძალიან ცხელოდა, თორემ... საქართველოს ნაკრებმა ირანის წინააღმდეგ ურიგოდ არ ითამაშა კარგად ითამაშა. მცველები ერთმანეთს კარგად აზღვევდნენ, ნახევარმცველებსაც არა უშავდათ, ჩვენს თამაშში ყველაზე დიდი ნაკლი კი ის გახლდათ, რომ საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებდით...

ეჭვი არაა, გაიფიქრებდით, ეს რა სისულელეები გვესმის, რას ჩმახავენო. არა, ამ სტრიქონების წერისას ნამდვილად სრულ ჭკუაზე გახლავართ. ეგაა, ირან-საქართველოს გუშინდელი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი რომ არ გვენახა და თბილისში ჩამოსული ნაკრების მწვრთნელ-მოთამაშეებისთვის გვეკითხა, რა და როგორ იყოო, დიდი შანსია, ასეთი რამ ეთქვათ. ჰოდა, ასეთი სურათიც დაიხატებოდა: ეროვნულ გუნდს ბედმა უმტყუნა, თორემ მეტოქე ლუკმად არ ეყოფოდაო. ამ გაზაფხულზე, ისრაელ-საქართველოს მატჩის შემდეგ დაახლოებით ეს გვითხრეს საქართველოს ნაკრების წევრებმაც და თავკაცებმაც, არადა, აშქელონში მართლაც რომ ბედი სწყალობდათ და ფრეს მიაღწიეს. არიქა, მეტოქეს ძელები ვუმტვრიეთ, ჩვენს კართან კი მომენტი არ შევაქმნევინეთო, ამბობდნენ. მერე, მატჩის ვიდეოჩანაწერი რომ ვნახეთ, მოედანზე სრულიად საპირისპირო ხდებოდა და ჩვენებურებიც მარცხს სასწაულებრივად გადარჩენილან.

ახლა კი ის ვთქვათ, რაც გუშინ ირანის ტელევიზიის მესამე არხით ვიხილეთ.

ერთადერთი, რაც კარგი შევნიშნეთ საქართველოს ნაკრებში, თეირანს თითქმის უძლიერესი შემადგენლობით რომ სტუმრობდა, სამოსი გახლდათ — „ლოტოს“ სამოსში, უწინდელისგან განსხვავებით, მწვრთნელ-სათადარიგოებიც გამოწყობილიყვნენ. კარგი მეტი არაფერი...

ეროვნულმა გუნდმა თამაში ორი საყრდენი ნახევარმცველით დაიწყო, ისე, როგორც ბოლო ხანსაა მიღებული. ასეთ განლაგებას სხვა გუნდები ჩინებულად იყენებენ და მოედნის ცენტრში უმეტეს შემთხვევაში დომინირებენ, ჩვენებისთვის კი სწორედ ორსაყრდენიანობა გამოდგა წამგებიანი. გინდ პირველ ტაიმში, როცა აშკარა უპირატესობა მასპინძლებისა გახლდათ, გინდ შესვენების შემდეგ, ჩვენებმა რომ ვითომდა თამაში გაათანაბრეს.

სამი მცველიდან პოზიციურად სამივე უხეშად ცდებოდა. ქემოკლიძე ხშირად ტოვებდა თავის ზონას, იქით თოდუა, რომელსაც ტექნიური წუნიც ბლომად ჰქონდა, მათ შუაში მოთამაშე წერეთელი კი დაზღვევას აგვიანებდა. პირველი გოლი ირანელებმა სწორედ მაშინ გაიტანეს, როცა უხიფათო სიტუაციაში თოდუა შეცდა და მასპინძლებს შეტევის გაგრძელების საშუალება მიეცათ.

მეორე გოლი საყრდენი ნახევარმცველების ინერტულობას მოჰყვა და მათი ზონიდან გაკეთებული პასის ადრესატ ფარჰად მაჯიდისთან გამკლავება წერეთელმა ვეღარ შეძლო.

წერეთელი რომ შეცვალეს, შუა მცველობა ნემსაძეს დაევალა, ქეცბაიამ შუაში შეიწია, მენთეშაშვილი კი მარჯვენა ჰავბეკად გამწესდა. ამის შემდეგ ირანელებს ერთი ასპროცენტიანი მომენტიც შეექმნათ — პენალტი. ესეც საყრდენთა და ქემოკლიძის შეცდომის გამოისობით, ცოტაც ნემსაძემ დააგვიანა პარტნიორთა დაზღვევა და მერე იძულებული შეიქნა, მეტოქე წაექცია.

თავდასხმაში კი ძალიან ინერტული გახლდათ შოთა არველაძე, რომელმაც ერთი ნაღდი მომენტი რომ გააცუდა, მეტი არაფერი გაუკეთებია. ბურთს მეტოქეს აბარებდა. თანაგუნდელებთან შედარებით აქტიური მეორე თავდამსხმელი და გოლის გამტანი მიხეილ ყაველაშვილი გახლდათ.

შესვენების შემდეგ ლევან კობიაშვილმა, რომელიც 90 წუთში სულ რამდენჯერმე შეეხო ბურთს, შუაში შეიწია, ხოლო შეცვლილი არველაძის ნაცვლად მცველებს მეოთხეც დაემატათ — სილაგაძე. სწორედ ის შეცდა ორჯერ უხეშად და ვაი ირანელთა ოსტატობას, ორჯერვე რომ ვერ გაიტანეს.

ქართველი ფეხბურთელები მეორე ტაიმში უკეთ ათამაშდნენ. თუმცა ისიც სათქმელია, მასპინძლებმა, რომლებიც ლიბანში ოქტომბერში გასამართი აზიის თასისთვის ემზადებიან, ძირითადად ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეები გამოიყვანეს და ვიდრე შესვენების შემდეგ მათი შემცვლელები თამაშს გაუშინაურდებოდნენ, ჩვენებურებმა ერთი-ორი კომბინაციის მაგვარი მოახერხეს. უმთავრესად კი ეროვნული გუნდი ძველებურად, ინდივიდუალური ოსტატობითა და ცენტრიდან შეტევით ცდილობდა მეტოქის დაჩაგვრას. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. გოლი ჯამარაულის გრძელი პასისა და მენთეშაშვილის გონივრულობის შედეგია. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა „სკონტოს“ ნახევარმცველმა ბურთი იქვე მყოფ ყაველაშვილს გადააწოდა, მანაც ცარიელ კარში შეაგორა.

საინტერესოა, ალექსანდრე იაშვილი რად არ ათამაშეს მწვრთნელებმა.ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა და არა მგონია, ტრავმას შეეწუხებინა. უნდა ვიფიქროთ, რადგანაც მეორე ტაიმში წინ წაწეულმა ქეცბაიამ და ყაველაშვილმა შედარებით უკეთ გაუგეს ერთმანეთს, იაშვილიც ამიტომ დარჩა ირანში ტურისტად ჩასული. ისე როგორც ლომაია. ისე, მეკარეზე ჩამოვარდა სიტყვა და გრიშიკაშვილს პირველი გოლი ახლო კუთხეში არ უნდა გაეშვა. იმ დარტყმულის მოგერიება შეიძლებოდა.

შესარჩევი მატჩების დაწყებამდე საქართველოს ეროვნული გუნდი ამხანაგურად ერთხელაც ითამაშებს — 3 სექტემბერს, ყაზახეთში.

ირანი

12. ვაეზი
20. რაჰბარიფარდი
8. ჰამედანი, 5. სეიდაბასი
6. ნიკონამი
14. აკბარი
9. ამირაბადი, 17. ჯამშიდი, 4. იაზდანი
18. სამერე, 7. მაჯიდი

10. ყაველაშვილი, 11. შ. არველაძე
6. კობიაშვილი, 8. ჯამარაული, 9. ქეცბაია
4. სიჭინავა, 7. ნემსაძე
3. თოდუა, 5. წერეთელი, 2. ქემოკლიძე
1. გრიშიკაშვილი

საქართველო

შეცვლა: გრიშიკაშვილი — 12. გვარამაძე (34), წერეთელი — 14. მენთეშაშვილი (34), შ. არველაძე — 17. სილაგაძე (46), ქემოკლიძე — 13. გ. კვარაცხელია (74); (ირანელთა შეცვლები ვერ შევიტყვეთ)

მსაჯი: ი. ბაიგი (ირანი)

ზაზა [illegible] ფოტო

საქართველოს ნაკრების ერთადერთი გოლი მიხეილ ყაველაშვილმა (№11) გაიტანა

მატჩის სტენოგრამა

4 — ნემსაძემ მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი. აკბარიმ ჯამშიდი მოძებნა, მან კი ოციოდე მეტრიდან იოსებ გრიშიკაშვილს ახლო, მაღალ კუთხეში დაურტყა ბურთი — 1:0.

10 — ყაველაშვილი მარცხენა ფრთაზე ორ მეტოქეს გასცდა და საჯარიმოში შესულმა ბურთი უკან არველაძეს დაუგორა. შოთას 8 მეტრიდან დარტყმული მეკარისგან მარცხენა ძელს მოხვდა.

17 — სამერე ნემსაძეს გასცდა და ოციოდე მეტრიდან სახიფათოდ გაისროლა, ბურთმა გრიშიკაშვილის კარის მარჯვენა ძელს ჩაუქროლა.

27 — ქართველთა დაცვის შეუთანხმებელი მოქმედების შემდეგ მაჯიდმა წერეთელი ჩამოიტოვა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ტექნიკური დარტყმით ანგარიში გაზარდა — 2:0.

28 — მარჯვენა ფრთაზე გადანაცვლებულმა ყაველაშვილმა მეურვე ჩამოიტოვა და საჯარიმოში მარტოდ დარჩენილი ჯამარაული მოძებნა, ამის დაბალი დარტყმული ბურთი რაჰბარიფარდი ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა.

37 — საჯარიმოში შეჭრილი მაჯიდი ნემსაძემ ხელის კვრით შეაჩერა. პენალტი დაზარალებულმა დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

45 — მენთეშაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულ და ირანელი მცველების მიერ საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს ქეცბაიამ დაჰკრა 25 მეტრიდან. მასპინძლები ჰამედანი იხსნა და კარის მაღალ კუთხეში შემავალი ბურთი თავით კუთხურზე გადააგდო.

48 — მარჯვენა ფრთაზე მცველებთან ჭიდილში მენთეშაშვილმა იმარჯვა და გამოზომილი პასით კარიდან 5 მეტრში მარტოდმარტო მყოფ ქეცბაიას დაასვა ბურთი თავზე. მისი დარტყმული ერთობ არაზუსტი გამოდგა.

51 — ყაველაშვილის ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ქეცბაიამ შეასრულა, მეკარემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი. იქიდან ჩაწოდების შემდეგ კი ყაველაშვილის თავური ოდნავ ასცდა კარს.

54 — ჯამარაულმა კედელი გაუთამაშა ქეცბაიას, ეს უკანასკნელი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმც სუსტად დარტყმული ბურთი ვაეზის ჩააბარა.

60 — ჯამარაულის პასი საჯარიმოში ზურგით მდგომმა ყაველაშვილმა მიიღო, სამ მცველთან ჭიდილში იმარჯვა, თუმც დარტყმა სუსტი და არაზუსტი გამოუვიდა.

61 — სეიდაბასი გრძელი პასით ჯამშიდი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, თუმცა გვარამაძემ ივარგა და ნამით დაასწრო მეტოქეს.

70 — მოედნის ცენტრის სიახლოვეს ჯამარაულმა ფეხებს შორის გაუძვრინა ბურთი ნიკონამის და საჯარიმოში მენთეშაშვილს შეუგორა. თავის მხრივ მან ცარიელ კართან მყოფი ყაველაშვილი მოძებნა, რასაც ქართველთა საპასუხო გოლი მოჰყვა — 2:1.

73 — მაჯიდმა საჯარიმოში სილაგაძე მოატყუა და გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მცველმა ბოლო წამს შეცდომა გამოასწორა და მეტოქეს დასარტყმელად გამზადებული ბურთი ფეხიდან ააცალა.

78 — ჯამარაულმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ქეცბაია, ამ უკანასკნელმა კი ბურთი კარიდან გამოსულ ვაეზის მოარტყა.

82 — საჯარიმოში შეჭრილმა სამერემ სილაგაძე და წერეთელი ჩამოიშორა, მაგრამ მის დარტყმულ ბურთს სწორი პოზიცია შეურჩია გვარამაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათრაზ ბითაროვი: ჩვენი მიზანი აშვეთიას და წერეთლის დისკვალიფიკაციაა

ქართული ლეგიონის დასასრული

ვლადიკავკაზში დიდი სკანდალია, რაც „ალანიას“ ქართველ ლეგიონერებს უკავშირდება. ახლახან კლუბი „ალანიას“ შემორჩენილმა სამივე ქართველმა ლეგიონერმა დატოვა და ყველაფერი აქედან დაიწყო. ლევან სილაგაძე ჯერაც ლიტვიური „სკონტოს“ კუთვნილებაა და ოსებმა ქართველი მცველის ამ კლუბიდან გამოსასყიდი თანხა იძვირეს, შედეგად, სილაგაძეც უკან გაიხმო „სკონტომ“. რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას და მამუკა წერეთელს, ვლადიკავკაზელთა თქმით, მათ დიდი უსიამოვნებები ელით და შესაძლოა, ყოველივე კარიერის დასრულებად დაუჯდეთ. ეს კი სახუმარო ამბავი სულაც არ გახლავთ.

აშვეთია და წერეთელი ვლადიკავკაზიდან გაქრნენ. მათ თავიანთი ოთახებიდან პირადი ნივთები წაიღეს და გაუჩინარდნენ. ქართველებზე კარგა ხანს ვერაფერი შევიტყვეთ, შემდეგ კი მივიღეთ ინფორმაცია, რომ ისინი დანიაში წავიდნენ ერთ-ერთ იქაურ კლუბში გასასინჯად — იტყობინებიან ვლადიკავკაზელები.

როგორც იცით აშვეთია უკვე შეუთანხმდა დანიურ „ლიუნგბიუს“ და ამ გუნდში კარიერის გაგრძელებას ოქტომბრის შუა რიცხვებიდან აპირებს, მაგრამ შესაძლოა მოვლენები საპირისპიროდ შეიცვალოს... ოსები განრისხებულნი არიან, თუმც ჯობს, ბათრაზ ბითაროვთან — „ალანიას“ გენერალურ დირექტორთან ინტერვიუ წაიკითხოთ. ინტერვიუ ბითაროვმა რუსულ „სპორტ ექსპრესს“ მისცა და იქ მძიმე ბრალდებებს უყენებს როგორც ქართველ ფეხბურთელებს, ასევე „დინამოს“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც...

გიორგი დემეტრაძე

— ამ წუთს ხელთ მაქვს ოფიციალური წერილი, რომელსაც ვიაჩესლავ კოლოსკოვს და ნიკოლაი ტოლსტიხს გავუგზავნით. იქ დაწვრილებით წერია იმაზე, თუ რა მოხდა და რუსეთის საფეხბურთო ხელმძღვანელთაგან დაუყოვნებლივ მოქმედებას მოვითხოვთ. კერძოდ, მათ უნდა დააყენონ საკითხი უეფას წინაშე აშვეთიას და წერეთელის სამუდამო დისკვალიფიკაციის თაობაზე. ორივე მათგანს პროფესიონალი ფეხბურთელის ლიცენზია უნდა ჩამოერთვას. წერილის შინაარსი კოლეგიალურადაა შედგენილი. „ალანიას“ პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი და მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ავერიანოვიც ასევე ფიქრობენ — ქართველი ფეხბურთელები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

. — კი, მაგრამ, აშვეთია და წერეთელი ხომ ტრავმირებულნი იყვნენ და მწვრთნელებთან შეთანხმებით გაემგზავრნენ თბილისში...

— დიახ. მაგრამ ეს ფეხბურთელები გაუშვეს სამკურნალოდ, თანაც საქართველოში და არა დანიაში, სადაც როგორც გაირკვა, ისინი ერთ-ერთ დანიურ გუნდში გასასინჯად ჩავიდნენ. მითხარით, როგორ შეიძლება ტრავმირებული ფეხბურთელი გუნდში გასასინჯად წავიდეს? გამოდის, რომ აშვეთიაც და წერეთელიც გვატყუებდნენ, ვითომდა ტრავმირებული იყვნენ. თანაც თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი ბარგით წავიდნენ, ირკვევა, რომ წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონიათ ყოველივე...

— ესე იგი დანიაში წასვლა...

— დიახ. ზუსტად არ ვიცი, ვინ ჩაგონა მათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ორი ვარიანტია, ეს ან თბილისის „დინამომ“ გააკეთა, ანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ანაც ორივემ ერთად. შესაძლოა, მათ უთხრეს, თქვენ დანიაში გაემგზავრეთ და „ალანიასთან“ ჩვენ მოვაგვარებთ საქმესო. არადა, წერეთელს ჩვენთან კონტრაქტი 2000 წლის ბოლომდე აქვს, აშვეთიას კონტრაქტი კი 2002 წლის ბოლოს უმთავრდება.

— ხომ არ იცით, როგორ დამთავრდა ქართველების დანიური ვოიაჟი?

— წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ როგორც ვიცი, ორივე ფეხბურთელი დღეისთვის თბილისში იმყოფება.

— თუ შეეხმინეთ მათ?

— რისთვის უნდა დამერეკა? მათ თავიანთი არჩევანი გააკეთეს, ჩვენ კი ჩვენი მოსაზრება და მიმართულება გვაქვს. პრინციპული პოზიციიდან გადახვევას არ ვაპირებთ. ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ საფეხბურთო კანონების ჩარჩოებში და არავის მივცემთ უფლებას ჩვენს საქმეში ჩაერიოს და ჩვენ მაგივრად რამე გადაწყვიტოს. გუნდში არასდროს არავინ დაგვიკავებია, ვისაც წასვლა უნდოდა, პრობლემა არასდროს შექმნია, ამიტომაც გაოგნებული დავრჩი მომხდარით. ასეთ საქმეს წერეთელისგან ვერ წარმოვიდგენდი, მით უფრო აშვეთიასგან.

— რატომ „მით უფრო“?

— იმიტომ რომ... ამის შესახებ ყველამ იცის — „ალანია“ დიდი ხანია, აშვეთიას უცხოურ ტრანსფერზე მუშაობს. ამ ფეხბურთელით ესპანეთის მეორე დივიზიონის რამდენიმე კლუბი არის დაინტერესებული. ჩვენც მათთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, რომლის პირველი რაუნდიც უკვე დასრულებულია, მაგრამ ჩვენ არ გვკმაყოფილებდა სატრანსფერო თანხა, რომელსაც აშვეთიაში გვთავაზობდნენ. თანაც უმთავრესი, რისთვისაც ვიბრძოდით, იყო ის, რომ თვითონ ფეხბურთელსაც ხელსაყრელი პირობები დახვედროდა ახალ გუნდში. ესე იგი აშვეთიას პირად კონტრაქტზეც ვზრუნავდით. ამის შესახებ აშვეთიამ ძალიან კარგად იცოდა. თვითონაც გვითხრა, ბოლომდე გენდობითო, მაგრამ ლახვარი ჩაგვცა ზურგში. არადა, ესპანური ვარიანტი დღესაც რეალურია, მაგრამ ღირს კი ახლა ამის გახსენება?

— თქვენმა ქართველმა კოლეგებმა მომხდარი როგორ ახსნეს?

— მათ შემოგვთავაზეს, ასე ვთქვათ, თავიანთი ვარიანტი, რათა გამოსავალი გვენახა.

— რა ვარიანტზეა საუბარი?

— აბსურდული ვარიანტია. იმ ხალხმა, ვინც თბილისის „დინამოს“ სატრანსფერო პოლიტიკას განაგებს, გვთხოვა, აშვეთია და წერეთელი ჩვენთან გამოუშვით და ხელწერილსაც გაახლებთო. ვითომ, „დინამო“ ამ ფეხბურთელებს გაყიდდა და შემდეგ თანხის გაყოფაზე ერთად მოვილაპარაკებდით. ჩემი აზრით, თბილისში არასაკმარისად სმენიათ საფეხბურთო კლუბებს შორის ცივილურ ურთიერთობის წესებზე.

— და რა პასუხი გაეცით ამ წინადადებაზე ქართველებს?

— მათ ვურჩიე, რომ „სპორტ ექსპრესში“ გამოქვეყნებული ეს ინტერვიუ წაეკითხათ. ვფიქრობ, ამით ისინი გაიგებენ, რომ „ალანიასთან“ ხუმრობა არ შეიძლება. რომ ჩვენი მიზანი აშვეთიას და წერეთლის დისკვალიფიკაციაა.

— რატომ ხართ ასეთი კატეგორიული?

— იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევის გამეორების საფუძველი არ უნდა დავუტოვოთ არავის. ასე არ არის? თუ აშვეთიას და წერეთელს ყოველივე ხახვივით შერჩება, მაშინ სხვა ფეხბურთელი იგივეს გააკეთებს — როცა მოეპრიანება, მიაფურთხებს კონტრაქტს და წავა. ასე ხომ მთელი გუნდი დაიფანტება.

— დავუშვათ, აშვეთიას და წერეთელს პროფესიონალი ფეხბურთელის სტატუსი ჩამოართვეს, ასეთ შემთხვევაში ხომ თქვენ იმ ფულს კარგავთ, რაც მათზე დახარჯეთ?

— ჩვენ ამისათვის მზად ვართ. მთავარი ისაა, მორალურ პრინციპებს და საფეხბურთო კანონს ვიცავთ.

— თუ თქვენ მოსაზრებას არ გაითვალისწინებენ?

— ამაზე ფიქრიც კი არ მსურს, მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდება, წაიყვანოს თბილისის „დინამომ“ ორივე ფეხბურთელი, მხოლოდ იმ თანხის სანაცვლოდ, რასაც ჩვენ ვიტყვით. გადაიხდიან ფულს, კი ბატონო, გაყიდონ ეს ფეხბურთელები თუნდ დანიაში, თუნდაც ამერიკაში.

— ფიქრობთ თუ არა, რომ ამ ინციდენტის გამო ქართველ კოლეგებთან ურთიერთობა გაგიფუჭდებათ?

— ჩვენი ურთიერთობა უკვე გაფუჭებული და გაწყვეტილია. არადა, ჩვენ წლების მანძილზე ვთანამშრომლობდით „დინამოსთან“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, მაგრამ რაც ფედერაციის ხელმძღვანელად ახალი ხალხი მოვიდა, ყველაფერი შეიცვალა. მათი საქციელი კი, მეტი რომ არ ვთქვა, გაუგებარია. მაგალითსაც გეტყვით, მათი წყალობით მიმდინარე სეზონის წინ „ალანიაში“ თითქმის უკვე ჩარიცხული ანჩაბაძის და კიკნაძის განაცხადში შეყვანა ვერ შევძელით.

— გამოდის, რომ „ალანიაში“ ქართულ ლეგიონს წერტილი დაესვა. გული არ გწყდებათ?

— გუნდში ოცდაათზე მეტი ფეხბურთელი ვარჯიშობს. თამაში მათაც შეუძლიათ...

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმაც:

— ჩემთვის სულერთია ფეხბურთელის ეროვნება, მთავარია, მან კარგად ითამაშოს და გუნდს სარგებლობა მოუტანოს. რაც შეეხება აშვეთიას და წერეთელს, ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ, ეს პრინციპის საქმეა.

„სპორტ ექსპრესი“

ქართველი ლეგიონერები „ალანიაში“ პირველად 1995 წელს გამოჩნდნენ, მაშინ, მურთაზ შელიამ, მიხეილ ყაველაშვილმა და ზაზა რევიშვილმა ვალერი გაზაევის ხელმძღვანელობით რუსეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. როგორც ჩანს „ალანიაში“ ქართული ლეგიონის მისია „სპორტ ექსპრესმა“ დასრულებულად ჩათვალა (ჯერჯერობით ასეცაა) და ეს ცხრილი წარმოადგინა. აქ იმ თოთხმეტი ქართველი ფეხბურთელის „ალანიური“ მაჩვენებელია წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა დროის ვლადიკავკაზური კლუბის ღირსებას იცავდნენ.

ფეხბურთელი	პოზიცია	სეზონი	თამაში	გოლი
მურთაზ შელია	მცველი	3(95-97)	62	9
ზაზა რევიშვილი	ნახევარმცველი	2(95 ,96)	20	1
მიხეილ ყაველაშვილი	თავდამსხმელი	1(95)	24	12
გოჩა ჯამარაული	ნახევარმცველი	1(96)	9	0
გიორგი გახოკიძე	ნახევარმცველი	2(97, 98)	43	8
მიხეილ აშვეთია	თავდამსხმელი	2(97, 2000)	33	9
ლევან კობიაშვილი	ნახევარმცველი	1(97)	21	5
მამუკა წერეთელი	მცველი	3(98-2000)	46	1
გიორგი დემეტრაძე	თავდამსხმელი	2(98, 99)	43	35
დავით ჩალაძე	თავდამსხმელი	1(98)	16	4
გია ჩხაიძე	მცველი	1(99)	9	0
დავით ჭიჭვეიშვილი	მცველი	1(99)	7	0
ლევან სილაგაძე	მცველი	1(2000)	13	0
მიხეილ ფოცხვერია	მცველი	1(2000)	7	0
სულ			353	84

ნიტაიშვილი დიდავას დაშორდა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოდან“ გივი დიდავასთან ერთად ისრაელში, თელ ავივის „მაკაბიში“ გასხვისებული კობა წიტაიშვილი ახალმა კლუბმა ასევე უმაღლესი ლიგის ირონის „რიშონში“ ერთი სეზონით გაანათხოვრა. მიზეზი, ჩვენი ებრაელი კოლეგის თქმით, ის არის, რომ „მაკაბის“ სეზონის დაწყებამდე ექვსი უცხოელი ფეხბურთელი დაუგროვდა და იქაური ჩემპიონატის დებულებით, მათგან, უკეთეს შემთხვევაში, ერთი უთამაშებელი დარჩებოდა.

ისრაელის კლუბებს ხუთი უცხოელის ლიმიტი აქვთ. ამიტომაც გაანათხოვრა „მაკაბიმ“ წიტაიშვილი. მან ისრაელის ჩემპიონატის პირველსავე ტურში 90 წუთი ითამაშა. „რიშონი“ შინ 1:3 დამარცხდა ჰაიფას „ჰაპოელთან“. კობას თამაში სპეციალისტებმა ათბალიანი სისტემით 5-ით შეაფასეს, ისევე როგორც გივი დიდავას ოსტატობა „მაკაბი“ — „ბნეი იეჰუდას“ მატჩში.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

კობა წიტაიშვილი

ფედერაციის სალაროს 110 000 ლარი აკლია

ᲝᲠᲘ დღეც და XII ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. თორმეტგუნდა უმაღლესი ლიგის წევრებს, სფფ-მ განაცხადის წარდგენის და საწევრო თანხის გადახდის ბოლო ვადა შაბათამდე მისცა. პარასკევს საღამოს ფედერაციაში სამუშაო დღე მთავრდება, შაბათ-კვირა დასვენებაა და გუნდებმაც აუცილებელი ფორმალობები ხვალ საღამომდე უნდა მოაგვარონ.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსს გია ფირცხალავას დავუკავშირდით. მან გვითხრა, რომ ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადი თითქმის ყველამ წარმოადგინა, თუმც ამ განაცხადებს საბოლოო მაინც არ ეთქმის, რადგან რეგლამენტით გუნდებს უფლება აქვთ, ბოლო წუთამდე (ანუ ჩემპიონატის დაწყებამდე) მასში ცვლილებები შეიტანონ.

რაც შეეხება საწევრო 22 ათას ლარს, როგორც იცით, ეს თანხა პირველმა „დინამომ“ შეიტანა ფედერაციის სალაროში, შემდეგ კი ათგზის ჩემპიონს სხვებმაც აუბეს მხარი. გია ფირცხალავას თქმით, საწევრო თანხა სრულად გადაიხადა „კოლხეთმა“, „მერანმა“, „ლოკომოტივმა“, თსუ-მ, „ბათუმმა“ და „სიონმა“.

ასე რომ, სფფ-ის სალაროს დღეისთვის 110 ათასი ლარი აკლია. საწევრო თანხა ხუთ გუნდს დარჩა გადასახდელი. „ვიტ ჯორჯიას“, „ტორპედოს“ და „დილას“ ეს ალბათ არ გაუჭირდებათ, იგივე შეიძლება ითქვას „იბერიაზეც“, თუმც არ არის გამორიცხული, სამტრედიელებმა ცოტა ანერვიულონ ფედერაცია, აი, „გორდას“ საქმე კი ერთობ ბურუსითაა მოცული. ძნელი სათქმელია, შარშანდელივით რუსთაველებს ბოლო წამს ვინ გამოუჩნდებათ მშველელად.

ᲑᲐᲐᲢᲐ ᲫᲒᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

მახარე მინდიაშვილი

მახარე მინდიაშვილზე „სარბიელში“ პირველად სამი წლის წინ დაიწერა. მანამდე კი ჩვენი მკითხველი უფრო მის უმფროს ძმას ნუკრის იცნობდა.

1997 წლის 5 ნოემბერს გორის „დილას“ 19 წლის თავდამსხმელმა საქართველოს თასის მერვედფინალურ მატჩში ქუთაისის „ტორპედოს“ გოლს ჰეთ-თრიქით უპასუხა და მოგვიანებით „დილამ“ არა მარტო ქუთაისური ბარიერი დაძლია, ნახევარფინალამდეც გააღწია. „ვისი ხარ, ბიჭო, მახარე“ — ასე ერქვა იმ მატჩის ანგარიშს, სადაც ვწერდით: „მინდიაშვილმა გათანაბრება იშვიათი სილამაზის მკვრატელათი შეძლო, 15 წუთში კი სულაც ჰეთ-თრიქი შეასრულა, ორჯერ დასწრებაზე რომ იყოჩაღა.

„დილამ“ დიდებულად ითამაშა. მოგებასაც უდავოდ იმსახურებდა. ყველა რიგიანად გაისარჯა, განსაკუთრებით კი ნუკრი მინდიაშვილის უმცროსი ძმა მახარე“.

მახარემ, რომელსაც ახლობლები ბახულას ეძახდნენ, მომდევნო ჩემპიონატი „ლოკომოტივში“ გაატარა, მერე ისევ „დილას“ დაუბრუნდა, ბოლოს კი ძმის მხარდამხარ ბოლნისის „სიონში“ ირიცხებოდა.

დღეს მახარე მინდიაშვილი 24 წლის შესრულდებოდა...

გუშინწინ ის სიცოცხლეს გამოასალმეს...

სარბიელელები

	გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, (ტრანსფერზეა)	გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), სტურუა (სამგურალი)	სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0, დილა 4:0, 2:0, ბათუმი 1:0
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ქილაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ქაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოპენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1, ბეითარი (ისრაელი) 0:3
დინამო *რევაზ არველაძე*	ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?)	აშვეთია (ალანია, რუსეთი), კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 2:0
ბათუმი *ჯანი კარნევალი*	მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მჟავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1, ტორპედო 0:1
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (ურალანი, რუსეთი), ე. გვასალია (ტრანსფერზეა)	მაღლაკელიძე (ტორპედო), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), ფრანგიშვილი (სამგურალი), ჭანტურიძე (ცხუმი), კრასოვსკი, თედეევი, გ. ჭანტურია, ლეჟავა (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2, სამგურალი 2:4
იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა), გ. დოლიძე (გურია), ი. გიგიაძე (?)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი, რუსეთი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა), რ. ხაჭაპურიძე (?); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯიბოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯულელი (?, კვიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო); ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2, სლოვანი (სლოვაკეთი) 0:2, საქართველოს ეროვნული ნაკრები 2:2
თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა), გ. ხიზანიშვილი (აკადემია)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ქაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1, სამგურალი 1:2
გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐ

REUTERS

მექსიკელი ხერმან ვილა (14) და კანადელი პოლ ფენვიკი

ბრაზილიამ ალალად წააგო, ურუგვაის მართლა წააგებინეს

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

ს. ამერიკა

VII ტური

ჩილე 3:0 ბრაზილია

1:0 ესტაი (25), 2:0 სამორანო (44), 3:0 სალასი (73)
ჩილე: ნ. ტაპია, ფუენტესი, რ. როხასი, რეიესი, ფ. როხასი, გალდამესი, ვილასეკა (დ. პიზარო 13), ესტაი, ტელო, სამორანო (ე. ტაპია 46), სალასი (ვილიაროელი 85)
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა
ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ძაგო, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, მარკოს ასუნსაო (ჟალმინია 46), რივალდო, რიკარდინიო, ალექსი (მარკეში 62), ამოროზო (ლუიზაო 46)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო
გაძევება: პიზარო (90)
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)
60 000 მაყურებელი

„უცნაური თამაში გამოდგა. უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეს იყო, მიუხედავად ამისა, 0:3 წავაგეთ. მეტოქემ ჩვენი შეცდომები ბრწყინვალედ გამოიყენა. ისლა დაგვრჩენია, შემდეგ მატჩებში უკეთ ვითამაშოთ" — თქვა შეხვედრის მერე რობერტო კარლოსმა.

რობერტო კარლოსი და მისი თანაგუნდელები უკეთ თამაშს ალბათ შეძლებენ კიდეც — ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა უბრალოდ, წარმოუდგენელია. საკითხავი ის არის, რამდენ ხანს გაძლებს ნაკრებში ვანდერლეი ლუქსემბურგო. წინა ტურში არგენტინის მძლეველ მწვრთნელს ბრაზილიელმა ქომაგებმა იდიოტი უძახეს, ბოლო წუთებზე ფრანცას შეცვლა როგორ გაბედეო. ახლა წარმოვიდგინოთ, როგორ „შეამკობენ" ლუქსემბურგოს გუშინდელი მატჩის შემდეგ.

ლუქსემბურგოს თავის სამართლებლად ერთადერთი საბუთი აქვს — რა ხანია, ვებებ და რონალდოს შემცვლელი ფორვარდი ვერ მიპოვიაო. ამაში სიმართლის მარცვალი არის, ბლომად ჩინებული საგოლე მომენტებიდან ბრაზილიელებმა ერთიც ვერ გამოიყენეს, რონალდო რომ ყოფილიყო, კი ვინ იცის... მაგრამ აბა სცადე ამ არგუმენტით გაცოფებული ბრაზილიელი ქომაგების დამშვიდება.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მომენტებიდან კი რომელი ერთი გავიხსენოთ. ლუიზაომ, ჩილელთა კარის პირდაპირ მდგომმა, ბურთის აცილება მოახერხა, რივალდომ, როცა მასა და კარს შორის მხოლოდ ნელსონ ტაპია იდგა, ბურთი მეკარეს გაარტყა, შეცვლაზე შესულმა მარკესმა თორმეტი მეტრიდან კარს ზუსტად ვერ დაუმიზნა. ამ დროს ჩილელებმა...

ერთი შეხედვით გუნდი, რომელსაც მეტოქის კარში სამი გოლი გააქვს, ძალიან ბევრს უნდა უტევდეს. ასე ყოველთვის არ ხდება. გავიხსენოთ, რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა გუნდს მთელი 90 წუთის მანძილზე ერთადერთხელ შეუტევია და თამაში მოუგია. გუშინაც დაახლოებით ამგვარი რამ მოხდა. მასპინძლებმა დიდას კარში სულ ოთხჯერ დაარტყეს. ოთხი დარტყმა, სამი გოლი — უკეთესი შედეგი რაღა უნდა იყოს.

მატჩს თავისი უდავო გმირი ჰყავდა — მარსელო სალასი. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, როცა ის შეცვალეს, 60 ათასი ჩილელი გულშემატკივარი ფეხზე წამოდგა და ფეხბურთელი მოედნიდან ისე გააცილა.

მასპინძლებმა პირველი გოლი 25-ე წუთზე გაიტანეს. სალასმა მეურვეს ბურთი თავზე გადაუგდო, შემობრუნდა, საჯარიმოს კუთხეს მიუახლოვდა და შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, სადაც ფაბიან ესტეი ბოლო დარტყმისთვის მზად იყო.

შესვენებამდე ერთი წუთით ადრე სალასმა საჯარიმოს მისადგომთან ძაგოს ბურთი აართვა და ივან სამორანოს დაბალი, ზუსტი პასი მისცა. სამორანომაც აუღელვებლად დაარტყა.

მესამე სალასმა თავად გაიტანა. შორეულ ძელთან მყოფმა დავიდ პიზაროსგან ბურთი მკერდზე მიიღო, დაამუშავა და ზედ ხარიხას ახლოს გაიტანა. რითი არ არის მარსელო სალასი მატჩის გმირი?

იყო უხეშობაც. ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონ პერეირა მეტოქის უკნიდან ჩაწიხლვისთვის აშკარად იმსახურებდა გაძევებას, მაგრამ ყვითელი ბარათით „გადარჩა". ჩილელ დავიდ პიზაროს კი არ გაუმართლა. მან რობერტო კარლოსს თავში ჩასცხო და წითელი ბარათი მიიღო. ნეტავ, რა რჯიდა? ბოლო წუთი იყო, მისი გუნდი კი 3:0 იგებდა.

ჩილემ ჯავრი იყარა. ბრაზილიელთაგან საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე 1:4 და წინა „კოპა ამერიკაზე" 0:1 დამარცხებულებმა ამჯერად მეტოქეს უდიდესი სირცხვილი აჭამეს.

აქვე ბრაზილია — ჩილეს ერთი ისტორიული მატჩიც გავიხსენოთ. 1989 წლის 3 სექტემბერს ეს გუნდები რიო დე ჟანეიროში, „მარაკანაზე" შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი იყო. 70-ე წუთზე, როცა ბრაზილია 1:0 აგებდა, მაყურებლის მიერ ნასროლი შუშხუნა ჩილელთა მეკარე რობერტო როხასის ახლოს დავარდა. უმალვე დაეცა როხასიც, რომელმაც ვითომ მძიმე დამწვრობა მიიღო. ჩილელმა ფეხბურთელებმა თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. ამ შემთხვევის გამო ფიფამ საგანგებო გამოძიება ჩაატარა და რობერტო როხასი სიმულაციაში ამხილა. ჩილეს ნაკრებს ტექნიკური მარცხი — 0:2 ჩაეთვალა, ხოლო მათ მეკარეს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

კოლუმბია 1:0 ურუგვაი

1:0 კასტილიო (73)
კოლუმბია: ო. კორდობა, მარტინესი, ი. კორდობა, იეპესი, ბოლანო, ოვიედო, ლ. გარსია (მორანტესი 65), ბედოია, არისტისაბალი (დინასი 43), ანხელი, კასტილიო (ბეზერა 90)
მწვრთნელი: ლუის გარსია
ურუგვაი: კარინი, მენდესი, სორონდო, ლემბო, როდრიგესი, ონილი, პ. გარსია, გიუგო, ოლივერა, დარიო სილვა, ოტერო (და სილვა 51)
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)
40 000 მაყურებელი

კარგი საყურებელი მატჩი გაიმართა ბოგოტაში. ყველაფერი ვნახეთ — სახიფათო შეტევები, სამი გოლი, მათგან ერთი ჩათვლილი, ორიც — არა, თავის მხრივ ამ ორიდან ერთი უსამართლოდ, ვერგატანილი პენალტიც იყო და ხარიხასთვის გარტყმული ბურთიც.

ახლახან ყველაზე ცნობილმა კოლუმბიელმა ფეხბურთელმა კარლოს ვალდერამამ თავისი ნაკრების თამაში გააკრიტიკა, აბა, ეგ რა ფეხბურთია, მთელი მატჩი დაცვაში სხედან და ერთი-ორჯერ თუ შეუტევენო. ამის დასტური გახლდათ კოლუმბიელთა წინა მატჩიც ეკვადორთან, როცა ვალდერამას თანამემამულეებს წინ წასვლა არც უფიქრიათ. თითქოს ვალდერამას ნათქვამმა იმოქმედაო, კოლუმბიელები აქტიურობდნენ და დაცვითი თამაში ურუგვაელებს „გადაულოცეს".

ერთადერთი ჩათვლილი გოლი ხაირო კასტილიომ გაიტანა თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე. იქამდე კი გონსალო მარტინესმა ურუგვაელთა ხარიხა შეაზანზარა.

სტუმრებს აშკარად არ უმართლებდათ. ცალკე კოლუმბიელთა მეკარე ოსკარ კორდობამ გააწამა, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, ამავე დროს მსაჯიც არ სწყალობდათ. ურუგვაელთა პირველ არჩათვლილ გოლს დიდი კამათი არ გამოუწვევია — დარიო სილვა თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეორე ჩაუთვლელი გოლი კი მთლიანად მსაჯის სინდისზეა. მატჩის მიწურულს ნიკოლას ოლივეირამ ბურთი მკერდით მიიღო და ანგარიშიც გაათანაბრა. არბიტრმა კი მკერდი და ხელი ერთმანეთისგან ვერ გაარჩია და ურუგვაელები დალუპა. საკამათო იყო ურუგვაელთა კარში დანიშნული პენალტიც. აქ მეკარე ფაბიან კარინიმ იყოჩაღა და ივან რამირო კორდობას დარტყმული აიღო. სამართალმა პური ჭამაო, ამაზე იტყვიან, თუმცა ვითომ ხელით თამაშის გამო არჩათვლილი გოლის შემთხვევაში სამართალი მშიერი დარჩა.

გიორგი დარჯანია

REUTERS

ჩილე — ბრაზილია 3:0. ჩილელთა მესამე, მარსელო სალასის გოლი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

კონკაკაფი

C ჯგუფი

მექსიკა 2:0 კანადა

1:0 აბუნდისი (48), 2:0 ფენვიკი (81ა.კ)
60 000 მაყურებელი

მეხიკოს „აცტეკაზე" მარცხმა კანადელები ჯგუფში ბოლო ადგილზე დატოვა და საეჭვოა, მათ შემდეგ ეტაპზე გასვლა მოახერხონ. მექსიკელებს კი თავი ქუდში აქვთ. სამი თამაშიდან ორი მოიგეს, ჯერჯერობით პირველები არიან და ისეთი რა უნდა მოხდეს, პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც ვერ გავიდნენ.

კანადის ნაკრების დასამარცხებლად მექსიკელებს ბევრი ოფლი არ უღვრიათ. ულიმღამო პირველ ტაიმს შესვენების მერე შეცვლაზე შესული ხოსე მანუელ აბუნდისის გოლი მოჰყვა. მასპინძლები ამითაც კმაყოფილნი იყვნენ, მათი მეორე გოლი კი კანადელი ამილ ფენვიკის საჩუქარია, რომელმაც ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

E ჯგუფი

კოსტა რიკა 2:1 გვატემალა

1:0, 2:0 ვანჩოპე (33, 48), 2:1 პეზაროსი (68)
35 000 მაყურებელი

რა ფასი აქვს კოსტა რიკის ნაკრებს პაოლო ვანჩოპეს ან ტრინიდადს დუაიტ იორკის გარეშე? ალბათ არანაირი. ცხადია, ეს გუნდები დიდ ფეხბურთს თავიანთი ლიდერებიანადაც ვერ თამაშობენ, თუმცა კონკაკაფის ზონაში მაინც წონიან გუნდებად ითვლებიან.

ვანჩოპეს ორმა გოლმა კოსტა რიკას გვატემალა დაამარცხებინა და თავის ჯგუფში პირველი წრის მერე ლიდერობაც ჩაიგდო ხელთ.

გასულ კვირაში „ვესტ ჰემიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადაბარგებულმა ფეხბურთელმა პირველი გოლი ერნან მედფორდის ზუსტი პასით გაიტანა. მერე გვატემალელთა დაცვაშიც გაძვრა-გამოძვრა და მეორეც მიაყოლა. სტუმრები კი დუაიტ პეზაროსის ალაღფრის მომცემი გოლით დაკმაყოფილდნენ.

რა სიდნეი, რის სიდნეი, რომელი ოლიმპიადა...

„რეალი" რაულს ოლიმპიადაზე არ უშვებს

ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა ინაკი საესმა განაცხადა, რომ სიდნეიში გუნდი რაულის, იკერ კასილიასის, ხერარდის და ხოსება ეჩებერიას გარეშე გაემგზავრება.

საესი ოლიმპიადაზე ძირითადად იმ ფეხბურთელების წაყვანას აპირებს, რომელთაც შარშან მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგეს. მოგეხსენებათ, მათ შორის ახალგაზრდა მადრიდელი მეკარე იკერ კასილიასიც იყო, მაგრამ მას შემდეგ მან დიდად წაიწია წინ და უკვე ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ. ხოსე ანტონიო კამაჩოს საესისთვის უთხოვია კასილიასის დათმობა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მჭირდება და ვაითუ ოლიმპიადაზე ტრავმა მიიღოსო. ამავე მიზეზით დათმო ოლიმპიელთა მწვრთნელმა „ვალენსიადან" „ბარსელონაში" გადასული ხერარდიც.

რაულისა და ხოსება ეჩებერიას გაშვებაზე კი მათი კლუბები გაჯიუტდნენ. ესპანეთის ჩემპიონატი ოლიმპიურ თამაშებამდე ხუთი დღით ადრე იწყება და, ცხადია, „რეალსა" და „ბილბაოს" არ სურთ, ჩემპიონატის სტარტზე თავიანთი ვარსკვლავები არ ჰყავდეთ.

კასილიასი, რაული, ხერარდი, ეჩებერია — იკითხავთ, აბა, ოლიმპიურ გუნდში ვინღა დარჩაო? ინაკი საესს უიმედობა სულაც არ ეტყობა, სასიდნეოდ მაინც საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს: ბარსელონელები — ხავი, გაბრი, ხოსე რეინა და დავიდ ბერმუდო, ესპანიოლელი დავიდ აგანსო, ბენფიკელი კარლოს მარჩენა და სხვები.

მანჩესტერელი ოქროს ბიჭუნა

ოლე გუნარ სოლსკიაერი — „მანჩესტერ იუნაიტედის“ „ოქროს ბიჭუნა“ და ნორვეგიის ნაკრების ფორვარდი. მას „იუნაიტედის“ შემადგენლობაში მართლაც ბევრი ჯილდო მოუგია. მართალია, სოლსკიაერი უფრო მეტად შეცვლებზე შედის მინდორზე, მაგრამ მას არაერთი გადამწყვეტი გოლი გაუტანია. თუნდაც ის რად ღირს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბოლო წამებზე მიუნხენის „ბაიერნი“ რომ გააწბილა და ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ნათელი ფურცელი ჩაწერა. „მანჩესტერს“ წლეულსაც პრემიერლიგის მოგების უპირველეს ფავორიტად მიიჩნევენ. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე თავად გუნდის ფეხბურთელი?

ოლე გუნარ სოლსკიაერი

— მართლაც კარგი იქნება, თუ წლეულსაც ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ ვგონებ, ამის მიღწევა იოლი არ იქნება. მეტოქეები საგრძნობლად მოძლიერდნენ. მთავარი კონკურენტები, როგორც ყოველთვის, „არსენალი“, „ჩელსი“ და „ლიდსი“ იქნებიან, თუმცა არც სხვებს გამოვრიცხავ. წინ დაძაბული და რთული სეზონი გველის, მაგრამ ეს მხოლოდ მისასალმებელია. ეს „იუნაიტედისთვისაც“ უკეთესია და ბრიტანული ფეხბურთისთვისაც.

— „მანჩესტერთან“ ერთად ბევრი ტიტული მოიგეთ...

— მართლაც ასეა. ჩემს აქ ყოფნაში გუნდი სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის თასიც მოვიგეთ. ძალიან მახარია, ასეთ ძლიერ კლუბში რომ ვთამაშობ და, ბუნებრივია, მეტის მიღწევა მწადია. როცა ფეხბურთელი კარიერას დაასრულებს, ამაყობს ტიტულებით.

— სეზონისწინა მატჩების შედეგებით თუ ხართ კმაყოფილი?

— მთავარ შეხვედრებზე ვიტყვი. „ჩელსისთან“ და მიუნხენის „ბაიერნთან“ დავმარცხდით, თუმცა მადრიდის „რეალს“ მოვუგეთ. „სამეფო კლუბთან“ საუკეთესო წინასასეზონო მატჩი ჩავატარე და ძალიან გამეხარდა „მანჩესტერმა“ ბოლო წუთზე ჩემი გოლის წყალობით რომ გაიმარჯვა. „ჩელსისთან“ „ჩარითი შილდის“ წაგება მეწყინა, მაგრამ, ვგონებ, გულშემატკივრები გაგვიგებენ. შარშან „არსენალთანაც“ ასე დავმარცხდით, თუმცა შემდეგ მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩავატარეთ.

— გუნდის ერთადერთ ახალწვეულზე, ფაბიენ ბარტეზზე გკითხავთ...

— ბარტეზი მართლაც ძლიერი მეკარეა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი „იუნაიტედში“ ითამაშებს. ბევრი დაეჭვდა, შეეგუება თუ არა ფაბიენი ინგლისურ ფეხბურთს და შეძლებს თუ არა პრემიერლიგაში თავის გამოჩენას, მაგრამ მჯერა, რომ ბარტეზს წინ ჩინებული სეზონი ელის. იგი წარმატებებს ჩვეულია, ბოლო წლებში თითქმის ყველგან ჯილდო მოიპოვა.

— ხალხი მიეჩვია იმას, რომ ხშირად შეცვლებზე იღბლიანად შედიხართ და საჭირო გოლები გაგაქვთ...

— გამოგიტყდებით, ამას მირჩევნია, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო. ისე, შეცვლაზე შესულს მატჩის მიწურულს არაერთი გოლი გამიტანია. მათგან ყველაზე გამორჩეული უდავოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეგდებული ბურთია. ეს არც მე დამავიწყდება და არც გულშემატკივარს... უნდა ვეცადო, ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი. თუ მართლაც ასე მოხდა, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

— თუ ძირითადში დამკვიდრდით, თამაშის სტილს შეიცვლით?

— არა მგონია. თუმცა ეს მწვრთნელზეცაა დამოკიდებული. სერ ალექსი მეტყვის, სად ავჯობებს თამაში. ერთი კი ცხადია, მონდომება არც მაშინ დამიკლია და არც ახლა დავაკლებ. ისე, გუნდში მართლაც ყველა ღირსეული ფორვარდია. კონკურენციაა და რაც უფრო გამოიჩენ თავს, უკეთესია, ჩვენ კი გოლების გატანა გვეკალება.

— დევიდ ბექემზე ახლა ევროპული გრანდკლუბებიდან დიდი მოთხოვნაა. თითქმის ყველა კლუბის პრეზიდენტს სურს, ნახევარმცველი თავისთან დაიგულოს. იმისაც ამბობენ, რაიან გიგზსაც ბევრი კლუბი ეპატიჟებაო. თავად როგორ თვლით, წავლენ გიგზი და ბექემი „მანჩესტერიდან“?

— ახლა ფეხბურთი ისეა, წინასწარ არ იცი, თუნდაც ერთი კვირის შემდეგ რა მოხდება. ფეხბურთელები ელვის სისწრაფით იცვლიან კლუბებს. ახლა მხოლოდ ის შემიძლია განვაცხადო, რომ დევიდიც და რაიანიც „ოლდ ტრეფორდზე“ ბედნიერად გრძნობენ თავს და წასვლას არ აპირებენ. მერე რა იქნება, ვერ ვიტყვი. „იუნაიტედი“ ძალიან კარგი გუნდია და ფეხბურთელისთვის ყველა პირობაა შექმნილი. თანაც ფერგიუსონისგან ყოველთვის ბევრს სწავლობ. თუ ვინმე „მანჩესტერიდან“ წავა, ალბათ ვერ ვიტყვი, რომ ეს მისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

— დაბოლოს, თვლით, თუ არა, რომ პრემიერლიგური კლუბები ძალიან გადატვირთული კალენდრით თამაშობენ და ეგებ მატჩების რაოდენობის შემცირება ჯობდა?

— მართალია, პრემიერლიგა მართლაც ძალიან გადატვირთულია. თუმცა ეს მოვლენა მთელ ევროპულ ფეხბურთს ახასიათებს. არდადაგები იყო, მაგრამ თითქოს არც დამისვენია. ჯერ ევრო 2000, მერე ცოტა ხანს შესვენება. ახლა წინასასეზონო შეკრება. წინ კი ურთულესი სეზონია — პრემიერლიგა, ჩემპიონთა ლიგა, ნაკრები.

თარგმნა ნიკა შუბლაძემ



ფრანკ ლებეფი



ჯანფრანკო ძოლა

ვიალი ორ კურდღელს დასდევს

ამასობაში კი ეგებ ძოლა და ლებეფი გაქეცნენ

პრემიერლიგა საცაა დაიწყება. გუნდები რთული და ხანგძლივი სეზონისთვის ემზადებიან. ინგლისის უძლიერეს ოც კლუბს შორის, რა თქმა უნდა, არც „ჩელსია“ გამონაკლისი. ლონდონელებიც თავისებურად ფაციფუცობენ სეზონის წინ. თუმცა საქმე ისეა, რომ კლუბი ეგებ ორმა ფეხბურთელმა დატოვოს. იტალიელ ფორვარდ ჯანფრანკო ძოლას და მცველ ფრანკ ლებეფს წასვლა განუზრახავთ.

ამბობენ, რომ ძოლა, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და თავის პირველ კლუბ „ნაპოლის“ შეუერთდეს. „ჩელსიში“ ახლა ბევრი ფორვარდია. არ უარყოფ, რომ შესაძლოა იტალიაში დაბრუნდე და იმ კლუბში განვაგრძო თამაში, სადაც კარიერა დავიწყე და სახელი გავითქვი — განაცხადა ძოლამ — ნეაპოლიდან მართლაც დამიკავშირდნენ და მიმიწვიეს. ისიც შევიტყვე, რომ ჩემს სანაცვლოდ „ჩელსის“ 700 ათასი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ კლუბის მენეჯერმა კოლინ ჰათჩისონმა ოთხმაგი თანხა, 3 მილიონი გირვანქა მოითხოვა. მან ისიც განაცხადა, რომ დავიდ ჟინოლა, რომელიც ჩემი ხნისაა, „ტოტენჰემმა“ დაახლოებით ამდენად გაყიდა.“

ძოლამ დასძინა, რომ ახლა მშვენიერ ფორმაშია და ვერასდროს იფიქრებდა, თუ 34 წლის ასაკში ასეთ თამაშს კვლავ შეძლებდა. „მსურს, იტალიაში დავბრუნდე და დავამტკიცო, რომ თამაში კიდევ შემიძლია — განაცხადა აპენინელმა — „ნაპოლის“ მწვრთნელ ზდენეკ ზემანს ვუთხარი, რომ მის კლუბში სიამოვნებით ვითამაშებდი“.

მეორე ჩელსელის, ფრანკ ლებეფის საქმე კი ასეა — ფრანგმა ამას წინათ განაცხადა, ლონდონში დარჩენას არ ვაპირებ და მალე, ალბათ, კლუბს გამოვიცვლიო. მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2002 წლამდე აკავშირებს. მცველმა ჯანლუკა ვიალიც კი დაადანაშაულა და განაცხადა, ვგრძნობ, მწვრთნელს აღარ ვჭირდებიო.

„ამას წინათ გავიგე, რომ „ჩელსის“ „ასტონ ვილადან“ გარეთ საუთგეიტის შეძენა სურს და მხოლოდ იმას ელიან, კლუბიდან როდის წავალ. ვგონებ, ვიალის აღარ ვჭირდები. თუ მართლაც ასეა, ლონდონში რატომღა დავრჩე?“ — იკითხა ლებეფმა.

მართალია, „ჩელსის“ საუთგეიტის ყიდვა განუზრახავს, მაგრამ „ასტონ ვილა“ მცველის გაყიდვას სულაც არ აპირებს. ბირმინგემელი კლუბის თავკაცმა სამშაბათს განაცხადა: „საუთგეიტს შეუძლია „ჩელსიში“ წასვლა, მაგრამ ამას რატომ იზამს? იგი ლონდონში რიგითი მოთამაშე იქნება, „ასტონ ვილაში“ კი შეუძლია ლეგენდად იქცეს. მას კლუბში ყველა აფასებს. თუ ბირმინგემში დარჩება, „ვილა პარკის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდება.“

ასეა, ვიალი ორი კურდღლის დაჭერაზე, კლუბიდან ფრანკ ლებეფის გაშვებაზე და მის ნაცვლად საუთგეიტის შეძენაზე ფიქრობს, ბოლოს კი ეგებ ისე მოხდეს, საერთოდ ხელცარიელი დარჩეს — ფრანგიც ნაწყენი გაუშვას და ვერც საუთგეიტი დაიყოლიოს.

ჰლატინიმ დეშამპს ურჩია

ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ მიშელ პლატინიმ ვეტერან დიდიე დეშამპს სანაკრებო კარიერის დასრულება ურჩია. არადა, ცნობილია, რომ 31 წლის ფეხბურთელი ეროვნული გუნდიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. მის აზრს ეთანხმება ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი როჟე ლემერიც, რომელსაც გუნდში არათუ დეშამპის, მეორე ვეტერანის, ლორან ბლანის შენარჩუნებაც კი სურდა, თუმცა „ინტერის“ მცველი ალბათ მაინც წავა ეროვნული გუნდიდან.

დეშამპს რაც შეეხება, იგი 2 სექტემბერს „სტად დე ფრანსზე“ ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშებს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ნაკრებიდან წასვლის შესახებ ოდნავ მოგვიანებით გამოაცხადებს და ეგებ დარჩეს კიდეც.

მიშელ პლატინის აზრით, დიდიე ახლა წარმატების მწვერვალზეა, იგი ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ახლა კი ევროპისა, ამიტომ დიდი ფრანგის აზრით, ნამდვილად ავჯობებს, თუ დეშამპი ნაკრებს გამოეთხოვება.

„დეშამპის ადგილას რომ ვიყო, სანაკრებო კარიერას დავასრულებდი — განაცხადა მიშელ პლატინიმ ერთ-ერთ ინტერვიუში — მისი მიღწევები ბევრისთვის შესაშურია. განა მრავალ სახელოვან ფეხბურთელს ღირსება, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული! დიდიემ ამას მიაღწია და უკეთესი იქნება, თუ კარიერას პიკზე მყოფი დასრულებს. თუმცა ერთსაც დავძენ, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. უბრალოდ, მე მის ადგილზე ასე მოვიქცეოდი“.

დეშამპი კარიერის მანძილზე მართლაც შთამბეჭდავ ტიტულებს დაეუფლა. „ოლიმპიკის“ შემადგენლობაში გაითქვა სახელი და მარსელურ კლუბთან ერთად ჩემპიონთა თასი მოიპოვა. იგივე მიღწევა მან მოგვიანებითაც გაიმეორა, როცა „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა.

ბოლო ორი წელი დეშამპმა საოცნებო წარმატებებს მიაღწია, საფრანგეთის ნაკრები ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ახლა კი — ევროპის. ამგვარი რამ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში არ მომხდარა. სწორედ დეშამპმა აღმართა პირველად პლანეტისა და კონტინენტის სანუკვარი თასები, რადგან საფრანგეთის ნაკრებს იგი კაპიტნობდა.

სულ ახლახან ფრანგმა კლუბი გამოიცვალა. „ჩელსი“ დატოვა და კარიერა სამი წლით „ვალენსიას“ დაუკავშირა. მოკლედ, საკლუბო ფეხბურთიდან იგი ჯერ წასვლას არ აპირებს, ხოლო თუ პლატინის დაუჯერებს, ნაკრებთან გამოთხოვების დრო უკვე მოსულა...

იყიდეთ, იყიდეთ სტივი ჩქარა!

მადრიდის „რეალის“ ყოფილი და „მილანის“ ამჟამინდელი ნახევარმცველი ფერნანდო რედონდო ევროპის გრანდკლუბებს და მათ შორის ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედს“ ურჩევს, სტივ მაკმანამანის შეძენის შანსი ხელიდან არ გაუშვას. რედონდო და მაკმანამანი „რეალში“ თანაგუნდელები იყვნენ. „სამეფო კლუბმა“ არგენტინელი უკვე გაყიდა და მალე ინგლისელსაც იგივეს უპირებს, ამიტომ რედონდო, რომელსაც მაკმანამანის შესაძლებლობები სხვაზე უკეთ მოეხსენება, ყველას მოუწოდებს, რომ სტივის შეძენა ძალიან ხელსაყრელია.

„ნებისმიერი კლუბი ბევრს მოიგებს, თუ მაკმანამანის ხელში ჩაგდებას მოახერხებს. მაკასთან ერთად მთელი სეზონი გავატარე და შევნიშნე, რომ დიდი პოტენციალი აქვს. სულაც არ გამიკვირვებია, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მისი შეძენა რომ მოისურვა, ოღონდ ესაა, რაც შეიძლება მალე უნდა დაიყოლიონ — აცხადებს არგენტინელი ნახევარმცველი — მაკმანამანი ჭკვიანი ფეხბურთელია, ბურთს კარგად ფლობს, საიმედოა. მოკლედ, სტივი ძალიან სასარგებლო მოთამაშეა“.

შეგახსენებთ, რომ მაკმანამანის შეძენის სურვილი „იუნაიტედმა“ გამოთქვა. მაგრამ სხვა კლუბებიც აქტიურობენ, განსაკუთრებით „მიდლსბრო“.

წარსულში ცნობილმა „ლივერპულის“ ფეხბურთელმა ლან სენტ ჯონმა, რომელსაც, უდავოა, „მანჩესტერი“ გულზე არ ეხატება, ამას წინათ განაცხადა: „მაკა არ წაიგებს, თუ „ოლდ ტრეფორდს“ ცხვირს აუბზუებს. ის ძველი ლივერპულელია. მისი ოჯახი მერსისაიდზე ცხოვრობს. „ლივერპულის“ ქომაგები სტივის „მანჩესტერში“ გადასვლას ღალატად მიიჩნევენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდნეი 2000

კარიერის ფინიშისკენ

ტანმოვარჯიშეთა საგარჯიშო დარბაზში ისეთი აუტანელი სიცხე და ჩახუთულობაა, თავი საუნაში გეგონებათ. ფანჯრებს გააღებ და ნავარჯიშევზე ორპირმა თუ დაგიქროლა, მაშინ აიბოლიტიც ვერ გიშველის, ზამთარში კი იქ ისევე ყინავს, როგორც ქუჩაში. იქ, იმ უსაშველო დარბაზში ვარჯიშობს სიდნეის ოლიმპიური თამაშების მედლის მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტი, ბატუტზე მხტომელი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი რუსუდან ხოფერია. უსახსრობის გამო მას ბოლო პერიოდში მომზადება ასეთ უძძიეს ვითარებაში უხდება...

— ბავშვობაში საკმაოდ ცელქი ვიყავი. ერთ ადგილზე ვერ ჭერდებოდი — გვიამბობს რუსუდან ხოფერია— მაშინ ჩემი და დადიოდა სპორტული აკრობატიკის სექციაში. მის სანახავად დედას მეც დავყავდი, იქ კი ჩემმა პირველმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა შემამჩნია და ბატუტზე შემაყენა. მე უფრო ტანმოვარჯიშე მინდოდა გამოვსულიყავი, მაგრამ მწვრთნელების დაჟინებით ბატუტზე ხტომას გავყევი.

— სამწუხაროდ, თქვენს შემდეგ საქართველოში მაღალი კლასის ბატუტისტები არ ჩანან...

— საბჭოთა კავშირის პერიოდში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ბატუტისტი გვყავდა. მისი დაშლის შემდეგ თერთმეტმა ძალიან პერსპექტიულმა ბატუტისტმა, ცნობილი მიზეზების გამო, აქ დარჩენას გაცლა ამჯობინა. ისე, თუ ოლიმპიური კომიტეტიდან და სპორტის დეპარტამენტიდან სათანადო ხელშეწყობა იქნება, დიდი სურვილი აქვს სპორტს დაუბრუნდეს საკმაოდ მაღალი კლასის ბატუტისტი ზაზა აბრამიშვილი. მას ალბათ სპორტული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. იგი დიდად არის მოწადინებული მომავალ ოლიმპიადაზე იასპარეზოს, მაგრამ სურვილი ერთია და განხორციელება მეორე. მას უკვე ოჯახი ჰყავს და თუ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, მაშინ სპორტში დაბრუნება გაუჭირდება.

— ერთი პერიოდი სპორტი თქვენც მიატოვეთ...

— მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართველი სპორტსმენები როგორ ზეწოლას განვიცდიდით. 1986 წელს, როდესაც 13 წლის ვიყავი, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანეს — პატარაა და ვერ ვენდობითო; 1988 წელს გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატში მაინც ვიასპარეზე და სამი ოქროც წამოვიღე; 1990 წლის ჩემპიონატზე კი საერთოდ არ წამიყვანეს, თანაც მწვრთნელებმა ამის ვერანაირი მიზეზი ვერ დამისახელეს. ამან სპორტზე გული საერთოდ ამიცრუა, თანაც იმ პერიოდში დავოჯახდი. რამდენიმე წლით სპორტს საერთოდ ჩამოვშორდი. შემდეგ კი საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და მეც გადავწყვიტე აქტიურ სპორტს დავბრუნებოდი.

— ოჯახს და სპორტს ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— ეს მართლაც ძნელია. მას შემდეგ, რაც ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობა გახდა, მეც ხშირად მიწევს საზღვარგარეთ ტურნირებზე სიარული, ჩემი შვილის მოვლა-პატრონობა კი მთლიანად ჩემს მშობლებს დაეკისრათ. ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, თქვენთვის ოჯახი უფრო მნიშვნელოვანია თუ სპორტიო. ეს ჩემთვის ძალზე გამაღიზიანებელი იყო. მე იმიტომ ვეწევი ამ საქმიანობას, რომ პირველ რიგში მიყვარს და ჩემი ოჯახის მომავალზე ვფიქრობ.

— წლეულს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამოტოვება მოგიხდათ...

— მას შემდეგ, რაც მსოფლიოს თასის ეტაპზე ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე, ზუსტად 10 თვე აღარ მიასპარეზია. ერთადერთ ავსტრიის ტურნირზე გამოვედი და ისიც ჩემი სახსრებით, არადა, რამდენიმე ჩემთვის აუცილებელ და გამოსადეგ ტურნირზე მქონდა ასპარეზობა დაგეგმილი, მათ შორის ავსტრალიაში, ოლიმპიურ კვირეულზე. ფაქტობრივად, ყველგან ჩემი უშუალო კონკურენტები ასპარეზობდნენ, მე კი უსახსრობის გამო შინ ვიჯექი. წარმოდგენაც არა მაქვს, სიდნეიში როგორ დარბაზში და რა იარაღზე ვიასპარეზებ, ავსტრალიაში გამართულ ოლიმპიურ კვირეულზე კი ამის საშუალება მომეცემოდ. ერთადერთი შვეიცარიის ტურნირიღა დამრჩა, რაც ოლიმპიადის მზადებისთვის ბევრს არაფერს შემმატებს.

— როგორ აპირებთ დარჩენილი დროის გამოყენებას?

— ძალიან ბევრი გამიცდა და დროის ანაზღაურება უკვე შეუძლებელია. თუ ქვეყანა არ დაიქცა, აგვისტოში გერმანიაში მზადებას ვგეგმავ. 25-ში შვეიცარიაში ვიასპარეზებ ტურნირზე და შემდეგ კვლავ გერმანიას მივაშურებ. ვეცდები, რაც შეიძლება ნაყოფიერად მოვემზადო და სასიდნეოდ ოპტიმალურ ფორმაში ვიყო. თბილისში 9სექტემბერს დავბრუნდები და რამდენიმე დღეში სიდნეიში გავფრინდები.

— როგორ ფიქრობთ, ოლიმპიადაზე წარმატების მისაღწევად მთავარი რა არის?

— ალბათ თვითდაჯერებულობა, რაც ქართველმა სპორტსმენებმა, სამწუხაროდ, დავკარგეთ, რაც ძირითადად სავარჯიშო პირობების არქონითა და შეჯიბრებათა ხშირი გაცდენებითაა გამოწვეული. მთავარია, დარჩენილ დროში ყოფითი პირობები რამენაირად დავივიწყოთ და საკუთარი თავის იმედი არ დავკარგოთ.

— თქვენ ძალიან დიდი სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშის დახვეწა გსურდათ, რაც თითქმის ოლიმპიური მედლის მოპოვების გარანტიაა. ამ მხრივ როგორღაა საქმე?

— მართლაც, ამ ვარჯიშის შესრულების შემდეგ ოლიმპიური მედალი თითქმის გარანტირებული გაქვს, მაგრამ მთავარია მას როგორ შეასრულებ. იგი ტექნიკური თვალსაზრისითაც კარგად უნდა გამოგივიდეს. ამ შემთხვევაში ხელის ერთ არასწორ მოძრაობასაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. ამ ვარჯიშის უფრო დახვეწას შვეიცარიასა და გერმანიაშიც ვგეგმავ და ოლიმპიადამდე ვეცდები იგი უფრო სრულყოფილი გავხადო.

— და მაინც, რას შეჰპირდებოდით ქართველ გულშემატკივარს სიდნეიში?

— ალბათ თქვენთვის ცნობილია, რომ ოლიმპიადაზე 12 ბატუტისტი იასპარეზებს და აქედან რვა ფინალურ ეტაპზე გადის, იქ კი ყველაფერი ნულიდან იწყება. წინასწარ რაიმეს თქმა გამიჭირდება, რადგან სპორტში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ყველანაირად ვეცდები, წინასაოლიმპიადო გერმანული შეკრება ნაყოფიერად გამოვიყენო და სიდნეიშიც უმაღლესი შედეგებისთვის ვიბრძოლო. მედლის ხარისხს ჩემთვის უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. უბრალოდ, არ მინდა ამდენი ნაწვალები ერთი ხელის მოსმით წყალში გადაიყაროს, თანაც სიდნეის ოლიმპიადა ჩემს სპორტულ კარიერაში ბოლო დიდი შეჯიბრი იქნება და მინდა იგი კარგად დავასრულო.

— როდესაც სპორტსმენი პირველად ასპარეზობს ოლიმპიურ თამაშებზე, ფსიქოლოგიური ფაქტორი ბევრს ნიშნავს. ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?

— ოლიმპიური თამაშების დაძაბულობა საკუთარ თავზე არ გამმიცდია, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, რომ სპორტსმენს ძლიერი ნერვები და ნებისყოფა უნდა ჰქონდეს. ისე, მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ პრობლემა არც ერთ ტურნირზე არ მქონია, უბრალოდ, ბოლო პერიოდში შეჯიბრების შემდეგ სამი დღე არ მძინავს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიდნეიში ფსიქოლოგი გვეყოლება და საჭიროების შემთხვევაში დახმარებასაც გაგვიწევს.

— სპორტულ კარიერას დავასრულებო, თქვით და, მომავალში რაღას აპირებთ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ უკვე სამი წელიწადია ხელფასი არ მიმიღია. არ არის გამორიცხული, მომავალში მწვრთნელადაც ვიმუშაო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩემს ფინანსურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.

ქახა ბერიძე

დარჩა 28 დღე

პროგრამა მინიმუმი — ორი მედალი

არაერთხელ გვითქვამს, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოჭიდაველების გამოსვლას იმედის თვალით შევყურებთო. ამიტომაც ჩვენს ოლიმპიურ ჩანართში თითქმის ყველა ლიცენზიანტი ფალავანი თუ მწვრთნელი წარმოგიდგინეთ.

ალბათ მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არც ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაიშვილთან ინტერვიუ უნდა იყოს:

— ჩვენმა ორივე სტილით მოჭიდაველებმა ბოლო პერიოდში რამდენიმე შეკრება გაიარეს. ჩანს, ფული გიშოვიათ.

— დიახ, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი თვით ადრე, როგორც იქნა, სახსრები გამოინახა და ჩვენც რამდენიმე ნაყოფიერი შეკრების ჩატარებაც მოვახერხეთ. მართალია, მოსამზადებლად საჭირო თანხები ადრე უნდა გამოყოფილიყო, მაგრამ, ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო. როგორც თავისუფალმა, ასევე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველებმა ორ-ორი შეკრება გაიარეს, შესაბამისად, თბილისი-ქობულეთსა და ბაკურიან-მოსკოვში.

მათ აგრეთვე იასპარეზეს იარიგინისა და ივან პოდუბნის „ა" კატეგორიის ტურნირებში. ამჟამად დარჩენილ დროში თითო შეკრების ჩატარებას ვგეგმავთ.

— რამდენიმე ხნის წინათ თქვენ განაცხადეთ, სპორტის დეპარტამენტიდან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთო. რაში გამოიხატება იგი?

— ჩვენ მხარდაჭერას როგორც სპორტის დეპარტამენტიდან, ისე ოლიმპიური კომიტეტისგანაც ვგრძნობთ. მოგეხსენებათ, ძირითადი სალიცენზიო ტურნირები წლეულს იანვარ-თებერვალში ჩატარდა. იმ პერიოდში სპორტის დეპარტამენტი ვერ დაგვეხმარა და ყველაფერი თავის თავზე სეოკ-მა აიღო და ამის უთქმელობა არ იქნება. ჩემი აზრით, ეს ორი სპორტული ორგანიზაცია ერთმანეთს მხარში უდგას და ერთობლივი ძალისხმევით ახერხებენ ოლიმპიური ციკლის გავლას.

— როგორ შეაფასებდით წლეულს ჩვენი მოჭიდაველების შედეგებს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში?

— რა თქმა უნდა, დადებითად. ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში „ოქრო" და „ბრინჯაო" მოვიპოვეთ, ბერძნულ-რომაულში 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის გუნდურში პირველი ადგილი დავიკავეთ და უკან რუსეთის ძლიერი ნაკრები ჩამოვიტოვეთ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვან, იმას კი გეტყვით, რომ ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა დონის პირველობებიდან საერთო ჯამში 18 მედალი ჩამოვიტანეთ. ჩვენს პირობებში მეტის მოთხოვნა მეტისმეტი იქნებოდა. ამას გარდა, ოლიმპიურ თამაშებზე შესაძლო 16-დან 13 ფალავანი გვეყოლება მაშინ, როცა ატლანტაში შესაძლო 20-დან 8 მოჭიდავე გვყავდა. ასე რომ, ამ მხრივაც პროგრესი აშკარაა.

— ვინ მიგაჩნიათ ორივე გუნდში ლიდერად ან ლიდერებად, ვისაც რეალურად ძალუძთ წარმატების მიღწევა?

— კონკრეტული გვარების დასახელებას ყოველთვის ვერიდები, რადგან სხვები გულნატკენნი რჩებიან. ისე, გუნდში მოიძებნება ორი-სამი ფალავანი, ვისაც მედლის მოპოვება ხელეწიფებათ. დარწმუნებული ვარ, რომ სიდნეიში მინიმუმ ორი პრიზიორი გვეყოლება.

— არ არის გამორიცხული, რომ ბევრმა ჩვენმა მოჭიდავემ კარიერა საზღვარგარეთ გაგრძელოს. ამის შესახებ რას იტყოდით? თუ მოდის სრულფასოვანი ცვლა?

— ეს მართლაც მტკივნეული საკითხია, მაგრამ მათი მდგომარეობაც უნდა გავითვალისწინოთ. ყველას ხომ ოჯახი ჰყავს და რჩენა უნდა. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მათ შედარებით ნორმალური სოციალური პირობები შევუქმნათ, თუ არადა, მათი მიგრაცია მართლაც გარდაუვალი იქნება.

რაც შეეხება სრულფასოვან ცვლას, ამ მხრივ პრობლემა არ არის. საკმაოდ ნიჭიერი ახალი თაობა მოდის, განსაკუთრებით 20 წლამდე ასაკის მოჭიდაველებს გამოვარჩევ. ჩემი აზრით, მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ყურადღება სწორედ მათზე უნდა გავამახვილოთ.

დათა ძახაძე

4 მილიონი დოლარი დასკვნით ეტაპზე

120 ნიგერიელი სპორტსმენი უკვე ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაშია და სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ისინი იქ 7 სახეობაში: ფეხბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძიუდოში, კრივში, ჭიდაობასა და ცურვაში იასპარეზებენ.

ნიგერიელი ოლიმპიელებისთვის, როგორც ამ ქვეყნის სპორტის მინისტრმა დამინ სანგომ განაცხადა, მთავრობამ 4 მილიონი ჯოლარი გამოყო. ეს თანხა გათვალისწინებულია ავიაბილეთებისა და სპორტული ინვენტარის შესაძენად, აგრეთვე საწვრთნელი პროცესის საორგანიზაციოდ.

განცხადება

2002 წელს 8-დან 25 თებერვლამდე სოლტ-ლეიკ-სიტიში (აშშ) გაიმართება XIX ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

სპორტულმა ჟურნალისტებმა თამაშებზე აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით 1 სექტემბრამდე მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი №65; ტელ: 95-20-79

ნონა გაფრინდაშვილი:

მრუმე ღრუბელი მალე გადაიყრება

— მთელი თქვენი განვლილი ცხოვრება სპორტს მიუძღვენით. თუ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება სპორტის გარეშე?

— სპორტი ჩემთვის ყველაფერია. მე მისით ვცხოვრობ და ვსულდგმულობ. დღესდღეობით ვერც წარმომიდგენია, სპორტის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო.

ისე, მანამ სპორტსმენი გავხდებოდი, ვფიქრობდი, თუ რა უნდა ყოფილიყო ჩემი მომავალი პროფესია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპორტულ მოღვაწეობას აქტიურად მოვკიდე ხელი, მსგავს ფიქრებს აღარ შევუწუხებივარ.

— თქვენი მრავალფეროვანი სპორტული მოღვაწეობიდან რამდენიმე წელიწადი ოლიმპიურ მოძრაობაში გაატარეთ. როგორ გახსენდებათ ის წლები?

— ოლიმპიურ მოძრაობაში გატარებული ის რვა წელიწადი ჩემთვის ძალზე ტკბილმოსაგონარია. ან ცუდად რატომ უნდა მახსენდებოდეს? მართალია, ის საქმიანობა, რასაც იმ პერიოდში მე შევეჭიდე, უმძიმესი, გარკვეულწილად რისკთან დაკავშირებული და მომქანცველიც კი იყო, მაგრამ ქვეყნისა და სპორტის სიყვარულმა ეს ნაბიჯი გადამადგმევინა. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელ ლიანდაგზე ახალი შემდგარი იყო და, შესაბამისად ოლიმპიზმიც პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მეტის გაკეთება არ შეგვეძლო. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ შეუძლებლის მიღწევაც კი მოვახერხეთ. ამაში ლომის წილი სეოკ-ის გენერალურ მდივან ბატონ ემზარ ზენაიშვილს მიუძღვის. ჩვენ იმ უმძიმეს წლებში ერთად ვწიეთ ის ჭაპანი, რასაც ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობის განვითარება ჰქვია. ის ძლიერი ბუნების, თავისი საქმის უზადო პროფესიონალი, ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი გახლავთ. მე მისგან ბევრი ვისწავლე და მეამაყება, რომ ჩვენ ერთად ვაკეთებდით ქართული სპორტის საკეთილდღეო საქმეს. დღეს რომ სეოკ-ი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და ოლიმპიურ ოჯახშიც ასე თუ ისე ღირსეული ადგილი გვიჭირავს, ეს აგრეთვე იმ კოლექტივის (ფაქტობრივად დღესაც იგივეა) დამსახურებაცაა, ვისთანაც მე მთელი ამ წლების განმავლობაში მიმუშავია.

ნურავის ეგონება, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იოლი საქმეა. იმ პერიოდში ფაქტობრივად გარდავიქმენი. ბევრმა შეიძლება ითაკილოს, თუ პრეზიდენტი ხარ, ჭკუა სხვას რატომ უნდა კითხოო, მაგრამ ეს ასე არ არის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე იმ პერიოდში გვერდით მცოდნე და სანდო პიროვნება მედგა, რამაც ფაქტობრივად სეოკ-ის პრეზიდენტობა გადამაწყვეტინა. იმ რვა წელიწადმა ბევრი რამ შემმატა და ამატომ ყოველთვის ტკბილადმოსაგონარი იქნება.

— თქვენვე გერგოთ პატივი გეხელმძღვანელათ პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიური გუნდისთვის ატლანტის თამაშებზე...

— რა თქმა უნდა, ამ მხრივ ბედნიერი ვარ, მაგრამ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი გამოსვლა საბოლოოდ მაინც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, ჩემი აზრით კი ის ორი მედალიც არ უნდა ყოფილიყო ურიგო შედეგი. ორი „ბრინჯაო“ ბევრი ეკონომიკურად გამართული ქვეყნისთვისაც მიუწვდომელი ყოფილა. მოგეხსენებათ, წარმატებები ასე იოლად არ მოდის, თუმცა ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ალბათ შედეგიც უკეთესი გვექნებოდა. იმას, რაც ხახალეიშვილს შეემთხვა, არანაირი ახსნა არ მოეძებნება. არადა, ძიუდოს ფედერაცია ატლანტაში ყველაზე წარმომადგენლობითი გახლდათ, მაგრამ ასაწონ დარბაზს მაინც ვერ მიაგნეს. ამან სხვა სპორტსმენთა ფსიქოლოგიაზეც დამთრგუნველად იმოქმედა და...

1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშები დამოუკიდებელი საქართველოსთვის სადებიუტო გახლდათ. მაშინ სეოკ-ს სათავეში ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ედგა. ცხადია, ატლანტაში ჩვენი სპორტსმენის გამარჯვების აღსანიშნავად ყველას საქართველოს ჰიმნის აუერება გვსურდა, ბოლო შანსიც რომ დაგვკარგეთ, მახსოვს, ქალბატონ ნონას სახეზე როგორი იმედგაცრუება აღბეჭდვოდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გაფრინდაშვილი თავის საყვარელ საქმიანობას — ჭადრაკს დაუბრუნდა, მაგრამ ოლიმპიური მოძრაობიდან წასვლა გულში არც გაუვლია. იმ წლებმა ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვაო, გვითხრა და ინტერვიუზეც დაგვთანხმდა.

რატომღაც ყველას ავიწყდება, თუ როგორი მომზადებით გავემგზავრეთ ატლანტაში. სპორტსმენებს ლუკმა-პური ენატრებოდათ და რომ არა სოკ-ის შემოწირულობანი, ალბათ შიმშილითაც დაიხოცებოდნენ. ის, რაც საბჭოთა კავშირის დროს იყო, ყველაფერი რუსეთს დარჩა.

ერთ დროს „ოქრო-ვერცხლს“ მიჩვეულთ იგივე შედეგების ჩვენება ამ პირობებში დღესაც გვნდა. ეს ძალზე საძნელო საქმეა. ჩემი აზრით, ქვეყანას რაც არ უნდა უჭირდეს, სპორტის განვითარებისთვის ფული მაინც არ უნდა დაეშუროს. იგი ხომ ერის წარმოჩენის ერთ-ერთი უმძლავრესი საშუალებაა.

ასეა თუ ისე, მეამაყება, რომ პირველ დამოუკიდებელ ოლიმპიურ გუნდს მე ვხელმძღვანელობდი, მაგრამ გულში პატარა ხინჯად რაღაც მაინც ჩამრჩა.

— საშუალება რომ მოგეცეთ, კვლავ ჩაებმებოდით თუ არა აქტიურად ოლიმპიურ მოძრაობაში?

— სიმართლე ითქვას, ოლიმპიური მოძრაობიდან მე არც წავსულვარ. მართალია, ისე აქტიურად ჩაბმული აღარ ვარ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ვარ სეოკ-ის აღმასკომის წევრი, საპატიო პრეზიდენტი, ხოლო რაც თქვენ გაინტერესებთ, ანუ ჩემი კვლავ სეოკ-ის სათავეში მოსვლა, ეს გამორიცხულია.

— სიდნეის ოლიმპიური თამაშებიც კარს მოგვადგა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ სეოკ-ის დევიზის — „უკეთ, ვიდრე ატლანტაში“ — გამართლებას?

— ჩემი აზრით, ამის შესაძლებლობა გვაქვს. ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო და ჩვენც მომავლის რწმენა ნუ დაგვიკარგოს ღმერთმა. ჩვენს სპორტსმენებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ მიუხედავად ყველანაირი გასაჭირისა, საერთაშორისო ასპარეზზე მათ წარმატების მიღწევა ასე თუ ისე მაინც ძალუძთ. თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს. მთლად მოუმზადებლად ფონს გასვლაც ძნელია. ჩემი აზრით, თუ დარჩენილ დროში მაინც სპორტსმენებს ხელის შეწყობა და ყურადღება არ მოაკლდებათ, ატლანტის შედეგების გაუმჯობესება შეიძლება. ღმერთმა ქნას და, თუ დევიზი გამართლდა, ეს იქნება არა იმდენად სახელმწიფოს დამსახურება, არამედ თვითონ სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა.

— იქნებ შეადაროთ ატლანტამდელი და ახლანდელი ოლიმპიური ციკლის მოსამზადებელი პერიოდი?

— რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩემი აზრით, პირობები ახლა უკეთესია. შეიძლება ბევრი შემომედავოს კიდეც, ან ახლა რა აქვთ სპორტსმენებსო და მართალიც იქნებიან, მაგრამ ატლანტის ოლიმპიურ ციკლთან შედარებით მაინც უკეთესად მიმაჩნია. თუნდაც იმიტომ, რომ შეიქმნა სამედიცინო ჯგუფი და სპორტსმენებიც ამ მხრივ ყველანაირად უზრუნველყოფილნი არიან, ეს კი პატარა საქმე სულაც არ არის.

— სიდნეის ოლიმპიური თამაშები რიგით მეორე იქნება დამოუკიდებელი საქართველოსთვის. ბევრი თვლის, რომ საქართველოს სპორტული მომავალი სწორედ ამ თამაშებზეა დამოკიდებული.

— არა მგონია, რომ მთლად ასე იყოს საქმე. კი, სიდნეის ოლიმპიური თამაშები განსაკუთრებული სპორტული ღონისძიებაა და იქ წარმატების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის სპორტისთვის სასიკეთოა, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ჩვენში სპორტის მომავალი ავსტრალიაში გასამართ ოლიმპიურ თამაშებზე იყოს დამოკიდებული. წარმოუდგენელია, რომ ჩვენი ქვეყანა ისე დაძაბუნდეს, მასთან ერთად სპორტიც დასამარდეს. საქართველოში სპორტის სიკვდილი არ მოხდება. შეიძლება ოლიმპიური თამაშების შედეგებმა გარკვეული ბიძგი ქვეყანაში სპორტის განვითარებას მისცეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიდნეის თამაშებზე ჩვენი სპორტის ყოფნა-არყოფნის ბედი ჰკიდია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს სპორტსმენებს იქ ჭიდილი მოუწევთ ძირითადად დაწყნარებულ და ყველაფრით უზრუნველყოფილ სპორტსმენებთან, რომლებსაც სხვა საფიქრალი არ გააჩნიათ. აი, ამ ფონზე ატლანტის ორ „ბრინჯაოსაც“ ნუ ვითაკილებთ.

— ზოგი იმასაც ფიქრობს, ოლიმპიურ თამაშებზე მარტო იმიტომ მივდივართ, სოკ-მა თავისი რიგებიდან არ გაგვრიცხოსო.

— ამდაგვარი მსჯელობა არ შეიძლება. ეს აბსურდია და მეტი არაფერი. ქვეყანაში რომ ომი მძვინვარებდეს და სულს ღაფავდეს, იგი ოლიმპიურ თამაშებს მაინც არ გამოაკლდება. რადგან მასში მონაწილეებს ერისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

— მავანმა ისიც განაცხადა, რა დროს ოლიმპიური თამაშებია, იგი უჩვენოდაც კარგად ჩაივლისო. ამის შესახებ რაღას იტყოდით?

— იგივეს, რაც ახლა გითხარით.

— ოქტომბერში საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. როგორ ფიქრობთ, სექტემბერში თქვენი თითქმის ერთთვიანი მოწყვეტა, რაც სიდნეის თამაშებით იქნება განპირობებული, საჭადრაკო ოლიმპიადის სამზადისში რაიმე შეფერხებებს ხომ არ გამოიწვევს?

— არა მგონია. მე არც მწვრთნელი და არც გუნდის კაპიტანი ვარ. საჭადრაკო ოლიმპიადაზე დელეგაციის ხელმძღვანელი ვიქნები და ის პრობლემებიც, უპირველესად, რა თქმა უნდა, ფინანსურს ვგულისხმობ, თუ ახლა ვერ მოვაგვარე, მაშინ საქმეს არც სექტემბერში ეშველება. წლეულს ჩვენს ფედერაციაში „უნიკალური“ სიტუაცია შეიქმნა იმ თვალსაზრისით, რომ იგი აღმოჩნდა ერთადერთი ამგვარი ორგანიზაცია, რომელსაც ფული საერთოდ არ მიუღია. მთელი წლის განმავლობაში მიღებულ ათას ლარს მე ფულის მიღებად არ ვთვლი. დღესდღეობით ფინანსთა სამინისტროში ამ საკითხთან დაკავშირებით პროექტით ვართ შესულნი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ ეს პრობლემა სექტემბრამდე ვერ მოვაგვარეთ, მაშინ ყველაფერზე ხელის ჩაქნევა მოგვიწევს.

— თქვენი ფეხბურთისადმი განსაკუთრებული სიყვარული ყველასთვის ცნობილია. იქნებ ორიოდე სიტყვა ქართულ ფეხბურთსა და ამ ზაფხულს დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზეც თქვათ.

— ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს ოჯახში ვისაც ვგულშემატკივრობდით, იმ გუნდმა გაიმარჯვა. საერთოდ, ამ ტურნირის ისტორიიდან მე 1984 წლის ჩემპიონატი საუკეთესოდ მიმაჩნია, როდესაც საფრანგეთის გუნდში პლატინი ბრწყინავდა. წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიც მაღალი დონის იყო. ბევრი გუნდი ლამაზ ფეხბურთს აჩვენებდა. საოცრად დამწყვიტა გული ჩეხეთის სიმპათიური გუნდის უიღბლობამ, ხოლო ჰოლანდიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი კოლექტივია.

ქართული ფეხბურთი კი უსუსურ დღეშია. ბავშვობიდან ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და იგი ჩემთვის ისევე ახლოა, როგორც ჭადრაკი. ჩემი აზრით, პირველ რიგში ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებთ, ამ შემთხვევაში ტექნიკა გინდ ქონია, გინდ არა. ამიტომაც ჩვენთვის უკეთესი იქნება, თუ რაც შეიძლება ბევრი ქართველი ფეხბურთელი მოხვდება უცხოურ კლუბებში. მე საქართველოს ჩემპიონატის ყურების არანაირი სურვილი არ მაქვს. ან რა სურვილი უნდა მქონდეს, როდესაც ფეხბურთელები კუს ნაბიჯებით დადიან. კახი კალაძე კიევში პირველი ვარჯიშების შემდეგ მინდვრიდან ხელით გაყავდათ და შემოყავდათ, იმდენად დ„დი იყო ფიზიკური დატვირთვა, მაგრამ ახლა პროფესიონალი ფეხბურთელია. „სპარტაკში“ მოხვედრით ბედმა გაუღიმა ოთარ ხიზანეიშვილსაც. სულ იმას ვამბობდი, რომ ნეტავ ქართველი მორაგბეების ფიზიკური მომზადება ფეხბურთელებს მისცა-მეთქი. ერთი სიტყვით, თუ ფიზიკურ მომზადებას სათანადო ყურადღებას არ დავუთმობთ, არაფერი გვეშველება.

— დაბოლოს, როგორ გესახებათ ქართული სპორტის მომავალი?

— სანამ ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე არ დადგება, მანამ ასეთ გაჭირვებულ ყოფაში ვიქნებით. თუ ცოტა ხანს ასე გაგრძელდება, მაშინ შეიძლება საქართველოში სპორტსმენი აღარც დავრჩეს. მაგრამ მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ქართული სპორტის თავზე შეყრილი მრუმე ღრუბელი მალე გადაიყრება.

ძახა ბერიძე

ისინი იასპარეზობენ სიდნეიში

ალექსი დავითაშვილი

ძიუდო (მძიმე წონა)

დაიბადა 1974 წლის 21 ივნისს ახმეტაში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1986 წელს ზეზვა შათირიშვილის მეთვალყურეობით.

ალექსი დავითაშვილი არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, ახალგაზრდებში ევროპის პირველობის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელი, მსოფლიოს უნივერსიადის III პრიზიორი.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. საერთოდ, სპორტი ოჯახში ყველას გვიყვარდა, განსაკუთრებით ჩემს ძმებს. ყმაწვილობაში ისინი ძიუდოზე დადიოდნენ და მეც მიბიძგეს ხელი, რათა მევარჯიშა. ბევრი აღარ მიფიქრია და უმალ ძიუდოს სპორტულ სექციაში ჩავწერე.

2. ორი წლის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში „ა“ კატეგორიის ტურნირზე ვასპარეზობდი. გადაწყვეტილი მქონდა, რომ თუ ამ ტურნირს წავაგებდი, სპორტისთვის თავი უნდა დამენებებინა. სპორტზე საბოლოოდ ხელის აღება აღარ მომიწია, რადგან ფინალში გავედი და იქ ირანელ მეტოქეს უნდა შევჭიდებოდი. ფინალამდე 5 წუთით ადრე ჩემი ძმა მემუდარებოდა, ალექსი, არ გახვიდე, რამე არ მოგტეხოსო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე და ჩემპიონობაც მოვიპოვე. ჩემი გამარჯვება იყო და, უცებ ზურგზე ვიღაც შემომახტა. ჩემს ძმას სიხარულისგან შუა ტატამზე შემოსვლაც არ მორიდებია... ირანელი ძიუდოისტი, მწვრთნელები და მსაჯები გაკვირვებისგან პირდაფჩენილნი გვიყურებდნენ.

3. პირობას ვიძლევი, რომ სიდნეიში უეჭველად მედალს მოვიპოვებ.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ერთიანი ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

ევრომუქარის პირველი შედეგი

ვის გინდათ დევიდ ბექემი ოთხ მილიონად?

სილვენ ვილტორდის მყიდველები ევროკავშირმა შეაშინა

ევროკავშირის მუქარამ არსებული სატრანსფერო ბაზრის უკანონოდ გამოცხადების შესახებ პირველი შედეგი უკვე მოიტანა. ადრე ვწერდით, რომ „არსენალს“ „ბორდოდან“ სილვენ ვილტორდის გადაბირება სურს. ფრანგები ფეხბურთელში 22,5 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, რასაც არსენ ვენგერმა არარეალური თანხა უწოდა. თუმცა გავიდა რამდენიმე დღე და ლონდონელები აღნიშნული თანხის გადახდაზეც თითქმის დაყაბულდნენ, ვილტორდის შეძენის სურვილი ძალიან დიდი აღმოჩნდა, მაგრამ გარიგებას განხორციელება კვლავაც არ უწერია, რისი მიზეზიც ამჯერად ევროკავშირის მუქარა გახდა. არსენ ვენგერი ამბობს: „მე არ ვიყიდი ფეხბურთელს, რომელიც რამდენიმე თვეში შესაძლოა ჩვენგან მუქთად წავიდეს“. მოსალოდნელია, რომ შექმნილი სიტუაცია სხვა კლუბებსაც დაფიქრებს და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ტრანსფერთა რაოდენობა მკვეთრად დაეცემა.

გავიხსენოთ, რა ხდება. ევროპული კანონმდებლობა ადამიანის მიერ სამუშაო ადგილის დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს შეცვლას ითვალისწინებს. ფეხბურთში არსებული სატრანსფერო წესებით, კი ფეხბურთელი კლუბზეა მიბმული და კონტრაქტის ვადის დასრულებამდე უნებართვოდ საწვრთნელ ბაზასაც ვერ დატოვებს. ევროკავშირმა ამ შეუსაბამობის აღმოფხვრა განიზრახა და ფიფას თავისი წესების შეცვლა მოსთხოვა. მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურები გაჯიუტდნენ, კრახი გარდაუვალი იქნებაო, განაცხადეს. პასუხად ევროკავშირმა ფიფას ულტიმატუმი წაუყენა, ჯობს თავად ჩაატაროთ სატრანსფერო რეფორმა, ვიდრე ჩვენვე მოვკიდოთ ამ საქმეს ხელიო. ამან გაჭრა, ფიფა უაღრესად შეშფოთდა. აბა, როგორი საქმეა, ცნება „ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება“ აზრს კარგავს, ნებისმიერი მოთამაშის კლუბიდან კლუბში გადასვლა უფასო ხდება.

ცნობილია, რომ ამ დღეებში ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი ევროკავშირის ექსპერტებს შეხვდება და კომპრომისულ ვარიანტებს შეათანხმებს. ის ამბობს: „ევროკავშირმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ მათი მუქარის ასრულება მსოფლიოს ფეხბურთს ააფეთქებს. უნდა აირჩიონ, ან კატასტროფა ან კომპრომისი“.

რაც შეეხება კომპრომისებს, ფიფას რამდენიმე მოსაზრება გააჩნია, რამაც მოსალოდნელი საფრთხე რამდენადმე უნდა გააუვნებლოს. ამასთანავე დაგეგმილია ფიფას, უეფას და G-14-ის (ევროპის 14 უდიდესი კლუბი) წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ევროკავშირისთვის წარსადგენ ვარიანტებს საბოლოოდ შეათანხმებენ. თუ რა გზებით შეძლებენ ისინი სატრანსფერო სისტემის ნგრევის შეჩერებას, ჯერჯერობით არ ამხელენ, თუმცა ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი ცნობილი გახდა — კლუბი, რომელიც ფეხბურთელის გადაბირებას შეეცდება, მის ძველ კლუბს გარკვეულ კომპენსაციას გადაუხდის, ამ თანხას კი ასეთი ფორმულით გამოითვლიან: ფეხბურთელის ხელფასი გამრავლებული დარჩენილი წლების რაოდენობაზე, რომელიც მოთამაშეს ძველ კლუბში კიდევ უნდა გაეტარებინა. ეს ფორმულა მაგალითით განვმარტოთ. ლუიშ ფიგუს „რეალთან“ კონტრაქტი ექვსწლიანია და ხელფასი 4.48 მილიონი დოლარი აქვს. ვთქვათ, ფიგუმ ერთი წლის მერე სხვა კლუბში გადასვლა მოინდომა. ეს ნიშნავს, რომ კონტრაქტის ვადის გასვლამდე მას ხუთი წელი დააკლდა. ხუთს ამრავლებენ ფიგუს ხელფასზე და გამოდის, რომ „რეალს“ პორტუგალიელის დაკარგვის შემთხვევაში 22.4 მილიონი დოლარი ერგება. ცხადია, ასეთი ვარიანტით, მადრიდული კლუბი კმაყოფილი ვერ დარჩება, მაგრამ სულ არარაობას ისევ ეს სჯობს. ანდა ბექემის მაგალითი ავიღოთ. მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ კონტრაქტი ორ წელიწადში უსრულდება, ხელფასი კი 2 მილიონი დოლარი აქვს. ფორმულა მოვიშველიოთ და დღეს ბექემის წაყვანა რომელიმე კლუბს სულ რაღაც ოთხი მილიონი დაუჯდება.

ბოლოს ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ეს ვარიანტი საბოლოო არ არის და ფიფამ, უეფამ და G-14-მა შესაძლოა, რამე უკეთესიც მოიფიქრონ. ოღონდ ერთიცაა, რამდენად მისაღები აღმოჩნდება მათი შეთავაზება ევროკავშირისთვის. მოკლედ, დიდ ამბებს უნდა ველოდოთ.

გიორგი დარჯანია

თუ ლუიშ ფიგუ 24 მილიონამდე ჩამოფასდება, რაღა ელირებიან სხვები?

ასეთი რეკლამით „შეშლილი“ კი არა, ამინდის პროგნოზის ჩანაწერი გაიყიდებოდა

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი...

„ბითლომანიის დრო გამახსენდა. ასეთი რამ ჩვენს ქალაქში მას მერე არ მინახავს, რაც „ოლდემი“ 1990 წელს ლიგის თასის ფინალში გავიდა“ — ინსპექტორი ჯონ პიკოსი გაოცებას ვერ მალავდა.

საშაბათს მანჩესტერის მეზობელ ქალაქ ოლდემის სამართალდამცავებს მართლაც დიდი ჯავფ დაადგათ — 6 ათასამდე მოზარდი შეიკრიბა მაღაზია „ვულვორსთან“. ამისთანა რა იყიდებოდაო, იკითხავთ. რა და, ახალი კომპაქტ-დისკი, სახელწოდებით „შეშლილი“.

ჰოდა, თინეიჯერობაც შეიშალა. მითუმეტეს, რომ ამ სიმღერას ქალბატონი ვიქტორია ადამსი ასრულებს. ყოფილმა სფაიზ გელმა სოლო კარიერა დაიწყო და პირველი ქმნილების უკეთ გასასაღებლად ერთ ხერხს მიმართა — მაღაზიაში მეუღლესთან ერთად მივიდა, პირველ მყიდველებს კი ავტოგრაფიც უსახსოვრა. შედეგად, რაც ოლდემში „შეშლილი“ იყო, მყის გაიყიდა, პოშ-ოჯახმა კი მხოლოდ პოლიციის დახმარებით გააღწია ქალაქიდან.

ცუდ დროს იწყება პრემიერლიგის ახალი სეზონი, თორემ ბექემის ხათრით „შეშლილი“ ჰიტ-აღლუმის პირველ საფეხურსაც მალე მიაღწევდა.

არც სიდი, არც ავტოგრაფი... ერთი ხელმოცარული ოთხი ათასიდან

ტრაპატონი ძოფს ენდობა

ერთ წუთში იტალიის ნაკრების ბედი თავდაყირა დადგა. ევროპის ჩემპიონატის ფინალში „სკუადრა აძურას“ სწორედ წუთი დააკლდა, ჩემპიონობა რომ ეზეიმა. არადა, ყველაფერი პირიქით მოხდა, ფრანგებმა ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი „ოქროს გოლი“ გაიტანეს და თასიც აღმართეს. მას შემდეგ იტალიელებმა მწვრთნელი შეიცვალეს, ქვეყანაში ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნების, სილვიო ბერლუსკონის კრიტიკა დინო ძოფმა იწყინა და ნაკრების ხელმძღვანელის პოსტი დატოვა, მერე კი გუნდს ღვაწლმოსილი ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგა სათავეში.

მოკლედ ასეა, „სკუადრა აძურას“ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დონ ტრაპი მოამზადებს, იქ კი იტალია საქართველოს მეტოქეა.

ჯოვანი ტრაპატონიმ უახლოესი მომავლის სტრატეგია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ნაკრების ძირითადი ბირთვი იგივე დარჩება, ევრო 2000-ზე რომ იყო, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდება.

სანამ კრისტიან ვიერი გამოჯანმრთელდება, შეტევის ხაზში ტრაპატონი „რომას“ ფორვარდ ფრანჩესკო ტოტის და „იუვენტუსის“ თავდამსხმელ ფილიპო ინძაგის გაამწესებს, ალესანდრო დელ პიეროს კი უკან დაწევს და იგი შემტევ დუეტს უფრო პასებით მოამარაგებს. მოედნის ცენტრში სამი ნახევარმცველი გაირჯება. მილანელი დემეტრიო ალბერტინი, ყოფილი უდინეზელი და ამჟამად „ლაციოს“ კუთვნილება სტეფანო ფიორე და ინტერელი ლუიჯი დი ბიაჯო.

დაცვას ტრადიციულად პარმელი ფაბიო კანავარო, ლაციოელი ალესანდრო ნესტა, იუვენტუსელი მარკ იულიანო და მილანელი პაოლო მალდინი გაამაგრებენ. არ არის გამორიცხული, მათ გვერდით ტრაპატონის ყოფილი კლუბის „ფიორენტინ.ს“ წარმომადგენელი, დანიელე ადანი ან ლაციოელი რობერტო ბარონიო ვიხილოთ. ეს უკანასკნელი უფრო ნახევარდაცვისთვის გაირჯება.

რაც შეეხება ახალწვეულებს, მოსალოდნელია, რომ ტრაპატონისეულ ნაკრებში „ბარის“ ფორვარდი ანტონიო კასანო ან „იუვენტუსის“ 20 წლის ნახევარმცველი ენცო მარესკა გამოჩდნენ.

ნიკა შუგლაძე

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში სანქოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, ანერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

15 აგვისტო

ორლანდო მეჯიჰი: აიყვანა ფორვარდი დონ რიდი (ვაშინგტონიდან).

ახალ ლეიკერსელს შარშან თბილისში უთამაშია

ბაბრი ჯეთილაძის ფოტო

სტანისლავ მედვედენკო თბილისის სპორტის სასახლეში

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ სეზონის დამთავრებისთანავე დაითხოვა ვეტერანი ფორვარდი ეი სი გრინი და მისი შემცვლელის ძებნას შეუდგა. თითქმის ორი თვის განმავლობაში გუნდმა ვერ მოახერხა სასურველი მოთამაშის აყვანა — საკრამენტოელ კრის ვებერთან გარიგება ჩაეშალა, ტიმ დანკანი „სან ანტონიო სფურზში“ დარჩა, ხოლო ყოფილმა ორლანდოელმა ბენ ვოლესმა „დეტროიტ პისტონზს“ მიაშურა.

მოულოდნელად „ლეიკერსმა“ თავდამსხმელი არა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, არამედ ევროპაში იპოვა. კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა 207-სანტიმეტრიან უკრაინელ ფორვარდ-ცენტრს სტანისლავ მედვედენკოს. ხელშეკრულების პირობები არ გახმაურებულა.

21 წლის მედვედენკო უკრაინის ნაკრების წევრია. წინა სეზონი სამშობლოში, „ბკ კიევში“ გაატარა. მისი გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის გათამაშებაშიც მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირში მედვედენკოს საშუალო მაჩვენებლები 20,0 ქულა და 6,1 მოხსნა იყო.

მედვედენკოს თბილისშიც უთამაშია. ზუსტად ერთი წლის წინ „ბკ კიევი“ კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტს“ სტუმრობდა. კიეველებმა აქაც მოიგეს და შინაც, ხოლო მედვედენკო გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.

ბოლო ევროპელი „ლეიკერსმა“ 1989 წელს აიყვანა — იუგოსლავიელი ცენტრი ვლადე დივაცი, რომელიც დღეს „საკრამენტო კინგზის“ ღირსებას იცავს. თუკი მედვედენკო ერთხელ მაინც გამოჩნდება „ლეიკერსის“ რიგებში, მესამე უკრაინელი გახდება, რომელსაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში უთამაშია. 1989-1992 წლებში „ატლანტა ჰოქსის“ წევრი იყო ფორვარდი ალექსანდრ ვოლკოვი, ხოლო ცენტრი ვიტალი პოტაპენკო დღეს „ბოსტონ სელტიქსში“ გამოდის.

„ლეიკერსმა“ ამას წინათ კიდევ ერთ თავდამსხმელს, წლევანდელ დრაფტში არჩეულ მარკ მადსენსაც გაუფორმა კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, კლუბს მაინც მოუწევს გამოცდილი თავდამსხმელის აყვანა, რადგან მედვედენკოც და მადსენიც, ჯერჯერობით, შემცვლელად თუ გამოდგებიან.

ლიტვა

არვიდას საბონისი

დიდი ლიტველი სიდნეიში არ იქნება

გუშინ ლიტვაში ერთი განცხადება გაკეთდა, რომელმაც მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო. არვიდას საბონისი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ეს ნიშნავს, რომ ლიტვის ნაკრები ახლავე უნდა გამოეთხოვოს სიდნეიში სერიოზულ წარმატებაზე ოცნებას. რა არის ეს, ლიტვური კალათბურთის ერთი დიდი, ალბათ უდიდესი ეპოქის დასასრულის დასაწყისი?

35 წლის საბონისმა ივნისში გაიკეთა ფეხის ოპერაცია და სწრაფი გამოჯამთელების იმედი ჰქონდა. კალათბურთელის საბედნიეროდ, აღდგენითი პროცესი გაჭინაურდა, რამაც საბონისს სიდნეის ოლიმპიადაზე უარი ათქმევინა. ლიტვის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეს (იქნებ ევროპისაც?) ნოპერაციევი ფეხი ჯერაც შეშუპებული აქვს, თუმცა უკვე ყავარჯნების გარეშე დადის და არც ძალიან კოჭლობს.

საბონისმა ოფიციალური წერილით მიმართა ლიტვის ოლიმპიურ კომიტეტს. მან აღწერა თავის მდგომარეობა და სინანული გამოთქვა, რომ ვერ დაეხმარება ქვეყნის ნაკრებს. არვიდასმა გადწყვეტილება თავის გუნდის, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ფიზმომზადების მწვრთნელ ჯეი ჯენსენთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო. ჯენსენი საგანგებოდ იმყოფებოდა ლიტვაში და სპეციალური ვარჯიშებით აღდგენითი პროცესის დაჩქარებაში ეხმარებოდა საბონისს.

საბონისი ლიტველთა ერთადერთი დანაკარგი როდია. ფორვარდმა არტურას კარნიშოვასმა ასევე ივნისში გაიკეთა მუხლის ოპერაცია და, ჩანს, ოლიმპიადამდე ვერ გამოჯამრთელდება. ყოველ შემთხვევაში, ექიმები სასიკეთოს ვერაფერს ამბობენ. ტრავმირებულია კიდევ ერთი ფორვარდი ვირგინიუს პრაშკევიჩუსი, ხოლო „კლივლენდ კავალიერზის“ ფეხმოტეხილმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა ჯერ კიდევ შარშან დაკარგა ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი.

არვიდას საბონისი ლიტვური კალათბურთის და, საერთოდ, სპორტის სიმბოლოა. 18-წლიან კარიერაში ყველა შესაძლო ტიტული მოუგია, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობის გარდა. ოლიმპიური ჩემპიონი სეულში, 1988 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ლიტვის ნაკრებს კი ორჯერ, 1992 წელს ბარსელონაში და 1996 წელს ატლანტაში მოაპოვებინა ოლიმპიური ბრინჯაო. 1982 წელს, 17 წლის ყმაწვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. იმ ტურნირზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში საბონისთან ერთად ქართველი ცენტრი, ნიკოლოზ დერიუგინიც ასპარეზობდა. ევროპის ჩემპიონობა 1985 წელს მოიპოვა, როგორც საბჭოთა ნაკრების წევრმა, ხოლო კონტინენტის პირველობის ვერცხლის მედალს 1995 წელს მშობლიური ლიტვის ნაკრებთან ერთად დაეუფლა. იმავე წელს საბონისმა, მადრიდის „რეალის“ ცენტრმა, ევროლიგა მოიგო და ტურნირის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშე გახდა. ოთხჯერ დასახელეს ევროპის წლის საუკეთესო კალათბურთელად.

საბონისი 1986 წლის დრაფტში აირჩია „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“, მაგრამ საბჭოთა სპორტის მამებმა იგი ამერიკაში სათამაშოდ არ გაუშვეს. 1995 წელს არვიდასი მაინც წავიდა „პორტლენდში“ და დღემდე იქ თამაშობს. იგი გუნდის ძირითადი ცენტრია და წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 11,8 ქულას და 7,8 მოხსნას აკეთებდა.

ორი გარიგების წინასიტყვაობა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი დიდი გარიგება მზადდება. პირველში სამი გუნდი და ექვსი კალათბურთელი მიიღებს მონაწილეობას, მეორეში — ოთხი გუნდი და ცხრა მოთამაშე.

პირველი გარიგების მთავარი პერსონაჟი ფორვარდი ბრაიან გრანტია. იგი თავისუფალი აგენტია და აღარ სურს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ დარჩენა. კლუბმა ჯერ ოთხწლიანი და 42-მილიონდოლარიანი კონტრაქტი შესთავაზა კალათბურთელს, მერე — ექვსწლიანი და 70-მილიონიანი, მაგრამ ორივეზე უარი მიიღო. „პორტლენდმა“ სხვა გზაც მონახა — გრანტს შვიდწლიან და 93-მილიონიან კონტრაქტს გაუფორმებდა და „კლივლენდ კავალიერზს“ გაუცვლიდა ფორვარდ შონ კემპში. გრანტმა არც ეს ვარიანტი ისურვა და ახალი გუნდის ძებნა დაიწყო. მისი არჩევანი „მაიამი ჰითზე“ შეჩერდა. არც ფლორიდელნი არიან გრანტის დასაკუთრების წინააღმდეგნი, რადგან მისი ტიპის, დაცვაზე ორიენტირებული ფორვარდი სჭირდებათ.

შონ კემპს აღარ სურს „კლივლენდში“ ყოფნა, მაგრამ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ამ კლუბში უნდა იყოს. მომავალ სეზონში კალათბურთელი 11,2 მილიონ დოლარს მიიღებს. მიუხედავად ამისა, კემპს გული „პორტლენდისკენ“ მიუწევს, მაგრამ ამ კლუბს არ შეუძლია მისთვის ამხელა ხელფასის გადახდა. რაკი პირდაპირი გაცვლა ჩაშალა, „პორტლენდმა“, „მაიამიმ“ და „კლივლენდმა“ ამ გამოსავალს მიაგნეს:

„პორტლენდი“ შვიდწლიან და 93-მილიონიან კონტრაქტს გაუფორმებს ბრაიან გრანტს და „მაიამიში“ გაყიდის. გრანტი „ჰითისგან“ დამატებით მიიღებს 2,25 მილიონ დოლარს.

„კლივლენდი“ კემპს „პორტლენდში“ გაყიდის, ოღონდ ერთი წლის ხელფასს თავად გადაუხდის.

„მაიამი“ „კლივლენდში“ გაყიდის კრის გეტლინგს, დენ მარლის, კლარენს ვეზერსპუნს და ლუეინ ქოზველს. ამათი ჯამური წლიური ხელფასი დაახლოებით 12 მილიონია. ამ ფულს „მაიამი“ გადაიხდის.

გარიგება, პრაქტიკულად, შემდგარია, ოღონდ 26 აგვისტომდე ოფიციალურად ვერ გაფორმდება. ამის მიზეზი კრის გეტლინგია. ეს მოთამაშე „მაიამიმ“ ივნისში შეიძინა „დენვერისგან“. ლიგის მიერ დადგენილი წესის მიხედვით, კლუბს შეძენილი მოთამაშის გაცვლა ან გაყიდვა 60 დღის განმავლობაში არ შეუძლია. ეს ვადა კი 26 აგვისტოს იწურება.

მეორე გარიგება ნაკლებფულიანი და ნაკლებხმაურიანია, თუმცა მასში მეტი გუნდი და მოთამაშე მონაწილეობს. წინასწარი ინფორმაციის მიხედვით:

„გოლდენ სტეიტ ვორიორზი“: „ბოსტონისგან“ მიიღებს ფორვარდ-ცენტრ დენი ფორსტონს, ხოლო „იუტა ჯაზისგან“ ფორვარდ ადამ კიფის.

„იუტა ჯაზი“: „გოლდენ სტეიტისგან“ მიიღებს ფორვარდ დონიელ მარშალს.

„ბოსტონ სელტიქსი“: „იუტასგან“ მიიღებს მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანს, ხოლო „დალასისგან“ — ცენტრებს ბრუნო სუნდოვს და ჰოთ როდ ვილიამსს, აგრეთვე უკანახაზელ რობერტ პეკს.

„დალას მავერიქსი“: „ბოსტონისგან“ მიიღებს უკანახაზელ დანა ბაროსს, „იუტასგან“ — უკანახაზელ ჰოვარდ ეისლის, ხოლო „გოლდენ სტეიტისგან“ — ფორვარდ ბილ კერლის.

ამ გარიგების პროექტს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფისში განიხილავენ. გადასვლები ლიგის ხელმძღვანელთა დასტურისთანავე მოხდება.

პატარა იუტელის უსიამოვნებანი

28 ივნისს „იუტა ჯაზმა“ დრაფტში აიყვანა 19 წლის ფორვარდი დეშონ სტივენსონი. იმავე საღამოს კალათბურთელი მშობლიური ქალაქის, ფრესნოს (კალიფორნიის შტატი) ერთ-ერთ სკოლაში მივიდა და კალათბურთის მატჩს დაესწრო. სტივენსონი მოსწავლეებს და მაყურებლებს ავტოგრაფებს ურიგებდა.

თამაშის დამთავრებისთანავე ატყდა ჩხუბი, რომელშიც დაახლოებით ოცი კაცი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ სტივენსონი და ფრესნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის წევრი, 18 წლის კრისტოფერ ლი სიმსი. მოწმეებმა მოჩხუბართა ხელებში დანები და სამართებლები შენიშნეს. პოლიციამ სიმსი და რამდენიმე კაცი დაკავა, ხოლო სტივენსონის მონაცემები ჩაიწერა და შინ გაისტუმრა.

მას შემდეგ თვენახევარი გავიდა. სტივენსონი სოლტ ლეიკ სიტიში ჩავიდა, „იუტასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ფრესნოში დაბრუნდა. სამშაბათს იგი ვარჯიშობდა, როცა გამომძიებლები მიადგნენ ჩვენების მიცემა მოთხოვეს. სტივენსონმა თქვა: კალათბურთის მატჩზე მისულმა თავიდანვე შევნიშნე რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც ალმაცერად მიყურებდნენ. ავტოგრაფების დარიგება რომ დავამთავრე, ხუთი კაცი თავს დამესხა და ჩხუბი დამიწყოო.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს სიმსი, რომლის ჩვენების მიხედვითაც, ჩხუბი სტივენსონმა და მისმა მეგობრებმა წამოიწყეს. უეცრად გამოჩნდა ერთ-ერთი მოწმე, რომელიც ამბობს, ახალგაზრდებს უთანხმობა დარბაზში მყოფი მავანი ქალის გამო მოუვიდათო.

სტივენსონის ჩვენება სიცრუის დეტექტორის გამოყენებითაც ჩამოართვეს. თავად კალათბურთელმა შედეგები არ გაახმაურა, სამაგიეროდ მისმა ადვოკატმა რიჩარდ ბერმანმა აღნიშნა: „სიცრუის დეტექტორზე ტესტისას სტივენსონმა თქვა, რომ ჩხუბი სიმსმა დაიწყო და პირველმა მან დაარტყა ხელი. ჩემმა კლიენტმაც დაარტყა რამდენჯერმე თავდამსხმელს, ოღონდ თავდაცვის მიზნით“. შემდეგ ბერმანმა თქვა, რომ სტივენსონი სავსებით უდანაშაულოა და ფრესნოს საამყო შვილია.

ამ დღეებში ფრესნოში სასამართლო გაიმართება. თუკი სტივენსონს დამნაშავედ შერაცხავენ, იგი სამ თვეს ციხეში გაატარებს და 400 დოლარს ჯარიმის სახით გადაიხდის. სიმსის საქმე უფრო რთულადაა — დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში ერთწლიანი პატიმრობა და ათასდოლარიანი ჯარიმა ელის. ადვოკატმა ბერმანმა აღნიშნა, რომ აუცილებლად დაესწრება სასამართლოს, ხოლო მისი კლიენტის იქ მისვლის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„იუტა ჯაზმა“ თავის მოთამაშეს სრული თანადგომა და კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის ფარგლებში მხარდაჭერა აღუთქვა. „ჩვენ ვხედავთ, რომ დეშონი უდანაშაულოა. მეტიც, იგი დაზარალებულია და ამიტომ გვერდით დავუდგებით“ — განაცხადა „იუტა ჯაზის“ პრესატაშე დეივიდ ოლრედმა.

სტივენსონი უკანახაზელია. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირდაპირ სკოლიდან მივიდა. სკოლის გუნდში თამაშისას მატჩში საშუალოდ 30,4 ქულას, 9,7 მოხსნას და 6,2 პასს აკეთებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კარიერის გაგრძელება კანზასის უნივერსიტეტში გადწყვიტა, მაგრამ მისში გადაიფიქრა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებს დრაფტში მონაწილეობის ნებართვა თხოვა. სტივენსონის სურვილი დაკმაყოფილეს, ხოლო „იუტა ჯაზმა“ დრაფტში 23-ე ნომრად აირჩია. სწორედ მაშინ, თავის ცხოვრებაში ჯერჯერობით უმნიშვნელოვანეს დღეს, ახალგაზრდა კალათბურთელს უსიამოვნება შეემთხვა.

შიშველი გლადიატორი

უიმბლდონის სენსაციას ჩასაცმელი ფული არა აქვს

ინდიანაპოლისი, ინდიანა. RCA-ს პირველობა. საპრიზო 800 ათასი $

მეორე წრიდან ტურნირში ფავორიტებიც ჩაერთვნენ და ევგენი კაფელნიკოვმა შვედი მიქაელ ტილსტრომი 43 წუთში ჩაყლაპა. ჟენიას მხოლოდ დასაწყისში ჰქონდა შეფიქრიანების საბაბი: სამი ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუხდა, მერე კი მოჰყვა და თავისი და შვედის მოწოდებები თითქმის უკლებლივ მიითვალა. 6:2, 6:1 — საბოლოო ანგარიში რუსის სრულ ბატონობაზე მეტყველებს. ტილსტრომი ის კაცი არაა, კაფელნიკოვს მის დამარცხებაზე ელცნება, მაგრამ ჟენია ერთობ გახარებული ჩანდა: „ამგვარი იოლი გამარჯვების ფასი არაფერია. მით უმეტეს, ტურნირის დასაწყისში — ამერიკის ღია პირველობა იწყება და საქმეს ისე მივყვები, მგონი, იმ დროისთვის უმაღლეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დონეზე ავალ".

მოიგო ტიმ ჰენმანმაც. ბრიტანელი წლევანდელ ტურნირებში სამგზის ფინალისტი იყო, მაგრამ ერთი გამარჯვებაც ვერ მოიპოვა, ახლა კი მორიგი მცდელობა წარმატებით დაიწყო. ესპანელმა ალბერტო მარტინმა მხოლოდ პირველი სეტის შუაში გამოაჩინა ბრჭყალები, როცა 4:2 დაწინაურებულ ბრიტანელს დაეწია. ეს იყო და ეს. ჰენმანმა მომდევნო ორი გეიმი და მეორე სეტიც ადვილად მოიგო, რამაც საბოლოო ანგარიშს ასეთი სახე მისცა — 6:2, 6:4.

გავარდა მარსელო რიოსი. ჩილელი ტრავმამ შეაწუხა და როცა ბელგიელ ქსავიერ მალისეს პირველი სეტი 4:6 დაუთმო, გადაწყვიტა, გარდაუვალ დამარცხებას დროულად შეჰგუებოდა.

უიმბლდონის სენსაციურმა ნახევარფინალისტმა, „გლადიატორად" მონათლულმა ვლადიმირ ვოლჩკოვმა ამერიკელი ვინსენტ სპადეა სამ სეტში დაამარცხა და პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს შესჩივლა, სარეკლამო ინდუსტრიაში ჩართვას ვერ ვახერხებო. ჩოგბურთელთა შემმოსველი კომპანიები თურმე სულ არ ჩქარობენ ვოლჩკოვზე ნადირობას. „მეუბნებიან, უიმბლდონის ნახევარფინალი ყურადღების მისაპყრობად არ კმარაო — თქვა ვოლჩკოვმა — მათ უნდათ, მე ვუჩვენო, რომ შემთხვევით არ გამისვრია. ჰოდა, აი, ვცდილობ..." პირველ ცდას არა უშავდა, ვოლჩკოვმა ძლიერი სპადეა საათსა და 51 წუთში დაამარცხა.

ევგენი კაფელნიკოვი

ვლადიმირ ვოლჩკოვი: ჩამაცვით!

პირველი წრე. ვეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა, 10) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი, 16) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:3, 6:2; **ლიონელ რუ** (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:3, 6:2; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 3:6, 6:3, 6:4; **ნიკოლას მარუ** (ჩილე) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 1:6, 6:0, 6:3; **სებასტიან ლერუ** (კანადა) — მარკ ნოლისი (ბაჰამის კუნძულები) 6:4, 7:5; **ტეილორ დენტი** (აშშ) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:4; **კარიმ ალამი** (მაროკო) — კირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 7:5; **მიშელ კრატოჩვილი** (შვეიცარია) — ფილიპ კინგი (აშშ) 6:3, 6:3; **ტოდ ვუდბრიჯი** (ავსტრალია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:3, 6:1; **ჯეიმს სეკულოვი** (ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:4, 7:5.

მეორე წრე. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 2) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:2, 6:1; **ტიმ ჰენმანი** (დიდი ბრიტანეთი, 7) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ქსავიერ მალისე** (ბელგია) — მარსელო რიოსი (ჩილე, 8) 6:4 (ტრავმა).

ვაშინგტონი. „ლეგ მეისონ ტენის კლასიკ". საპრიზო 800 ათასი $

ვაშინგტონში საყურადღებო ანდრე აგასის გამოჩენა იყო. ცინცინატის „მასტერსს" ტრავმის გამო მეორე წრეში მოწყვეტილმა ამერიკელმა ბოლომდე გამოშუშება არ ინდომა და ვაშინგტონში პირველი თამაში ზუსტად იმ ანგარიშით მოიგო, როგორითაც კაფელნიკოვმა ინდიანაპოლისში. აგასის მსხვერპლი ბრაზილიელი ფერნანდო მელიგენი გახდა. მეორე წრეში ჯერ არც ერთ განთესილს არ წაუგია.

ჯენიფერ კაპრიატი

პირველი წრე. ენდრიუ ილიე (ავსტრალია) — რონალდ აგენორი (ჰაიტი) 3:6, 6:4, 6:4; **დავიდ პრინოზილი** (გერმანია, 14) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **პოლ გოლდსტეინი** (აშშ, 16) — ჟულიენ ბუტერი (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:3; **ალექს ობრაიენი** (აშშ) — მარკუს ონდრუსკა (სამხრეთ აფრიკა) 6:7 (3:7), 6:4, 6:3; **ლორენცო ტილევენი** (იტალია) — ბოგდან ულრიხი (ჩეხეთი) 6:2, 6:3; **ანდრე სა** (ბრაზილია) — არვინდ პარმარი (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:2; **ბერი კოუენი** (დიდი ბრიტანეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:7 (3:7), 6:2, 6:4; **კრისტიან კაპალიკი** — მაიკლ რასელი (აშშ) 1:6, 6:3, 6:2; **ლორენცო მანტა** (შვეიცარია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 6:7 (2:7), 6:4.

მეორე წრე. ანდრე აგასი (აშშ, 1) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:2, 6:1; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი, 2) — კევინ კიმი (აშშ) 7:5, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია, 3) — გილერმო კორია (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:2; **ბაირონ ბლეკი** (ზიმბაბვე, 6) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:4

მონრეალი. „დიუმურიე ოუფენ". საპრიზო 1 080 ათასი $

ოლიმპიადიდან გარიყვამ ნატალი ტოზია ფსიქოლოგიურად ერთობ რომ დათრგუნა, აშკარაა. წინა ტურნირებში წარუმატებლობებს მონრეალში ფრანგმა კიდევ უფრო დიდი ჩავარდნა მიაყოლა, როცა მეორე წრის (თავისი პირველი) მატჩი ლუქსემბურგელ ანე კრემერს დიდი წინააღმდეგობის გარეშე 4:6, 1:6 დაუთმო. დანარჩენ განთესილთა უმეტესობას ჯერ არაფერი უჭირს.

პირველი წრის თამაშები მოიგეს კონჩიტა მარტინესმა, რომელმაც ამერიკელ ენი მილერს ორ სეტში ერთადერთი გეიმი დაანება, აგრეთვე ანკე ჰუბერმა, არანჩა სანჩეს-ვიკარიომ და ჩანდა რუბინმა, ხოლო პირველი წრე ჟული ალარმა, ჯენიფერ კაპრიატიმ და ემი ფრეზერმა გაიარეს. ორი განთესილი დამარცხდა. მათგან ბელგიელი დომინიკ ვან რუსტის გამორჩევა შეიძლება.

პირველი წრე. ჟული ალარი (საფრანგეთი, 10) — ან-გეილ სიდო (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (9:7), 6:3; **კვეტა პრდლიჩკოვა** (ჩეხეთი) — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია, 12) 6:4, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ, 13) — ტატიანა გარბინი (იტალია) 7:6 (7:5), 7:6 (7:1); **სილვია ტალაჯა** (ხორვატია) — ბარბარა შეტი (ავსტრია, 14); **ემი ფრეზერი** (აშშ, 14) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:4, 6:2; **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — სონია იესლენი (კანადა) 6:1, 6:0; **ნადეჟდა პეტროვა** (რუსეთი) — კრისტინა ბრენდი (აშშ) 7:6 (7:3), 6:1; **სანდრა ნაჩუკი** (იუგოსლავია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:2.

მეორე წრე. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — ენი მილერი (აშშ) 6:0, 6:1; **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 5) 6:4, 6:1; **ანკე ჰუბერი** (გერმანია, 6) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (ესპანეთი, 7) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:1; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:3.

დავით გულუა

მერლინ ოტი

ოტი — 11!

მერლინ ოტიმ თქვა, იამაიკაზე სპრინტერი ვერ შემედრებაო და ამტკიცებს კიდეც. გუშინწინ ლიუბლიანაში, მცირე ტურნირზე მან ციურიხის „ოქროს ლიგის" თავისეული შედეგი (100 მეტრზე რბენაში) კიდევ 6 მეასედი წამით გააუმჯობესა და მრგვალ 11 წამამდე ჩამოიყვანა. 40 წლის მძლეოსნის პროგრესი ეჭვს არ იწვევს. იამაიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში იგი სამეულს მიღმა დარჩა, მერე იყო მესამე ადგილი „ოქროს ლიგის" ეტაპზე, ახლა კი ეს გვარიანი შედეგი. კიდევ ცოტაც და მარიონ ჯონსი სიდნეის ოლიმპიადაზე ახალი კონკურენტის გამოჩენით უწინდელზე ბევრად აფორიაქებული ირბენს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ოტის 100 მეტრზე მორბენალ იამაიკელ ქალებში საოლიმპიადო ადგილი განაღდებული არა აქვს. იამაიკურ „ტრაიელსზე" ამის უფლება პეტა გეი დაუიმ, ბევერლი მაკდონალდმა და ტანია ლოურენსმა დაისაკუთრეს, ხოლო ოტისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ესტაფეტაზე გამოინახა ადგილი. ამ დროს მერლინის პოზიცია ასეთია: „თუ მხოლოდ ესტაფეტაზე დამიშვებენ, სიდნეიში საერთოდ არ ვირბენ... სირბილს თავს დავანებებ". იქით კიდევ „ტრაიელსის" პრიზიორები სრულიად სამართლიანად თავიანთი პრეტენზიებს გამოთქვამენ და იამაიკის მძლეოსნობის პრეზიდენტი, ადრიან უოლესიც მათ მხარეზე ჩანს. „ოტის ოლიმპიური ოცნება, სამწუხაროდ, ოცნებადვე დარჩება — ამბობს იგი — თუ ამ სამთაგან რომელიმე სიდნეიში რბენაზე უარს არ იტყვის, ტრავმას არ მიიღებს ან ფორმიდან არ ამოვარდება." წესისა და რიგის თვალსაზრისით ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ... თერთმეტი წამის ამბავიც არაა ერთ ყურში შესაშვები და მეორედან გამოსაშვები. მოკლედ, იამაიკელ მძლეოსანთა მამებს დაფიქრება ჯერ კიდევ მართებთ. ოლიმპიადის მონაწილეთა საბოლოო სიები 10 სექტემბერს დამტკიცდება.

დავით გულუა



ხავიერ სოტომაიორი

სოტომაიორმა წარსულში იმოგზაურა

ესპანეთის საზღვართან ახლოს, ფრანგულ მონტობანში ხავიერ სოტომაიორს ძველი, კეთილი დროის ნოსტალგია მოეძალა, რაზეც მის მიერ მცირე პრესკონფერენციაზე ნათქვამი მეტყველებს. „ეჰ, როდის იყო, ბოლოს ამდენი ხალხის წინაშე რომ გამოვედი — უთხრა მან ჟურნალისტებს — მაყურებელი ძალიან მეგობრულად განეწყო ჩემს მიმართ და ამან დიდი სიამოვნება მომგვარა". კუბელმა თავაზიანობისთვის მონტობანის სამძლეოსნო სარბიელზე, ფაქტობრივად, მხოლოდ მის სანახავად მისულ ქომაგებს სამაგიერო იმით მიუზღო, რომ 2,28 მეტრზე გადახტა, ტურნირი მოიგო და ოლიმპიური საკვალიფიკაციო ნორმა ხუთიანზე შეასრულა. შემდეგ 2 მატრსა და 33 სანტიმეტრსაც გულმოდგინედ შეეჭიდა, მაგრამ თამასა სამჯერ ჩამოაგდო. ამის მიუხედავად, კუბელ სიმაღლეზე მხტომელს გული არ გაუტეხია და ოლიმპიადამდე სხვა ტურნირებში გამოსვლის პირობაც დადო. ამასთან, სოტომაიორმა ერთხელაც დაადასტურა, რომ თავისი ორწლიანი დისკვალიფიკაციის განახევრებას არ ურიგდება და იქამდე იბრძოლებს, სანამ კოკაინის მიღების საქმეში სრულიად უმწიკვლოდ არ ჩათვლიან.

მალეტი გაჭრილი ვალეტი?



ნიკ მალეტი „ქურციკებს“ „შავების“ დასამარცხებლად აგულიანებს

შაბათს სამი ერის პირველობაზე სამხრეთ აფრიკა ახალ ზელანდიას უმასპინძლებს. „ქურციკთა“ მთავარ მწვრთნელ ნიკ მალეტს კი თავსატეხი გასჩენია — სამმეოთხედელთა შერჩევა უჭირს უამრავი ტრავმის გამო. ბოლო მონაცემებით მან ძირითადში რობი ფლეკი უნდა ათამაშოს.

თუ ფლეკმა ახალზელანდიელების წინააღმდეგ ითამაშა, იგი ცენტრში იქნება. სამხრეთ აფრიკის საამმატჩო მზადება იოჰანესბურგში დე ვეტ ბარისა და იაპი მულდერის ტრავმებმა ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. პირველს ბარძაყის კუნთი გაეჭიმა, მეორეს კი ახლახან მორჩენილი მხარი წამოსტკივდა.

სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე მალეტმა განაცხადა: „დე ვეტ ბარის მკურნალობა კარგად მიდის, მაგრამ მისი მოედანზე გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას მატჩის წინ მივიღებთ. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს იგი, ალბათ, ივარჯიშებს კიდეც. რობი ფლეკი კი ყოველი შემთხვევისთვის მოვიწვიეთ. თუ იგი ითამაშებს, რაც ყველაზე უფრო სავარაუდოა, სამმეოთხედელთა ცენტრში გრანტ ესტერჰოიზენს შეეწყვილება. რაც შეეხება იაპი მულდერს, მან ტრავმის შემდეგ სირბილი მხოლოდ გასულ კვირას განაახლა, „ქურციკებთან“ ერთად კი პირველად დღეს ივარჯიშა. ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნება შაბათისთვის“.

„ქურციკებისა“ და „შავების“ დაპირისპირებას ავსტრალიელი ენდრიუ კოული განსჯის, რითაც აფრიკელთა თავკაცი ძალიან კმაყოფილია, ისევე როგორც მისი მორაგბეები. არ გეგონოთ, მათ არბიტრის გულმოწყალეობის ეიმედებოდეთ, რადგან ახალი ზელანდიის მარცხი ავსტრალიას ხელს აძლევს. უბრალოდ, „ქურციკები“ თურმე ზე 12-ში თამაშისას ავსტრალიელი და ახალზელანდიელი მსაჯების განსჯის მანერას არიან შეჩვეულნი და საერთოდ, სამხრეთელები ურჩევნიათ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს შავოსნებს, რადგან ისინი რამდენიმე წესს სხვადასხვანაირად ალიქვამენ.

მალეტისთვის „ოლ ბლექსის“ დამარცხებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წაგების შემთხვევაში იგი შეიძლება თანამდებობიდან გაათავისუფლონ, მაგრამ თავად სხვანაირად ფიქრობს. „უფრო მნიშვნელოვანი ისაა, მორაგბეებმა დაიჯერონ, რომ მე შემიძლია, ისინი გამარჯვებამდე მივიყვანო. ახლა ჩემი მომავალი არც მაინტერესებს“ — თქვა მალეტმა.

რაც შეეხება ახალზელანდიელებს, რომლებიც უკვე სამხრეთ აფრიკაში არიან, არც მათ ულხინთ. ოკლენდის შემადგენლობაში ბოლო თამაშისას დაგ ჰოულეტი დაიმტვრა და გუნდს აფრიკაში ვერ გაჰყვა. „შავების“ მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა კი ნაუცბათევად მისი შემცვლელის მოძებნა ვერ შეძლო და „ქურციკებთან“ სათამაშოდ 21 კაცი წაიყვანა. თუმცა ჯერ კიდევ აქვს დრო, კაცნაკლულობა შეავსოს.

გაგი გურული

სტუმრად ოქროსთან



ნასიმ ჰამედი

ამ შაბათს, ფოქსვუდის კაზინოში გიჟმაჟი ბრიტი, ნასიმ ჰამედი თავის ორგანიზაციის (ვბო) ცხრაბრილიანტიან ქამარს იცავს ოგი სანჩესის შემოტევისგან. ნასიმ ჰამედი გეგმიურად ემზადება ბრძოლისთვის, ბინად კი ოსკარ დე ლა ჰოიას მამულში დგას, პოკონოსის მთებში. ეს ჯადო ადგილია, რომელსაც „სიყვარულის სასახლესაც“ უწოდებენ და ოქრობიჭი ოსკარის საყვარელი რამაა დედამიწის ზურგზე. დე ლა ჰოია ყოველთვის აქ ემზადება თავისი ბრძოლებისთვის. ნასიმ ჰამედი კი მიპატიჟებითაა ამ მამულში. გულკეთილ ოსკარს უშურველად შეუთავაზებია თავისი სახლი და სავარჯიშო დარბაზი, ბანაკის ძებნას, აქ იყავიო. ბრიტი აღფრთოვანებულია ამერიკელის ძმური დამოკიდებულებით და, რა თქმა უნდა, მამულით. თუმცა, აქვე დაურთავს, მაინც ჩემი მშობლიური შეფილდი მირჩევნიაო.

ლუისი — ტუა სად დავცხოთ?

დევიდ ტუა

ლამის მთელი ღამე ლაპარაკობდნენ ნიუ იორკის რომელიღაც სასტუმროში ლენოქს ლუისისა და დევიდ ტუას წარმომადგენლები, რათა მომავალი სატიტულო ბრძოლის დეტალები გაერკვიათ. ახლა კი თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია — ბრიტი ლუისი ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ქამრებს დაიცავს ამერიკაში მცხოვრები სამოელი ტუას ხელყოფისგან.

ბრძოლა 11 ნოემბერს გაიმართება. ტუა თითქმის 4 მილიონ დოლარს მიიღებს, ლუისი — ათს. შოუ საკაბელო იქნება და ლუისი კიდევ მეტი ფულის აღებასაც გეგმავს, რადგან საპრომოუშენო კომპანია „მეინ ივენთს“ და განთქმულ „პანიქსის“ თავკაც პანოს ელიადისს ახალი საკრივო კომპანია დაუარსებიათ, რომლის პრეზიდენტიც თავად ელიადისი შექნილა.

„ახალი სტრუქტურა უკეთ გამარკვევს საკუთარ საქმეებში“ — ამბობს ლუისი — „მომავალში ალბათ ბევრი მოკრივე მომბაძავს, რათა უკეთ მიხედოს თავის კარიერას“.

ტუას საკითხში კი ერთადერთი დარჩა გასარკვევი — ჯერჯერობით ვერ შეთანხმებულან კრივი ლას ვეგასში გაიმართოს, თუ ტორონტოში.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲛᲨᲠᲐᲚᲖᲔ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ

ᲡᲠᲣᲚᲘ კრახით დასრულდა ახალგაზრდა ქართველ წყალბურთელთა გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ისინი ქვეჯგუფში იუგოსლავიელებთან, გერმანელებთან და ფრანგებთან დამარცხების მერე იმ გუნდებს შეუერთდნენ, რომლებსაც მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის უნდა ეთამაშათ, ანუ ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე დარჩენილებთან. სამწუხაროდ, ჩვენებურები ამ მაჩანჩალებშიც კი უსუსტესი გამოდგნენ. მათ კვლავ სამი მატჩი გამართეს და ყველა წააგეს — სლოვენიელებთან, რუმინელებთან და ჩეხებთან.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, ქართველები ყველაზე მცირე სხვაობით — 4:6 ჩეხებთან დამარცხებულან, რომელთაც ბოლოს შეხვდნენ მეთხუთმეტე ადგილისთვის.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲫᲔ

ᲓᲔᲕᲘᲓᲘ ᲛᲘᲙᲐᲡᲗᲕᲘᲡᲝ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲝ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ უნგრეთის მორიგი დიდი პრიზის გათამაშება კიდევ ერთი უსიცოცხლო რბოლა გამოდგა, რამდენიმე საინტერესო შედეგი მაინც მოიტანა.

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დავიწყოთ იმით, რომ წლეულს მესამე გამარჯვება მიკა ჰაკინენის კარიერაში მე-17 გახდა. თუ ამას დევიდ კულჰარდის რვასაც დავუმატებთ, გამოვა, რომ მათ აირტონ სენასა და ალენ პროსტის 11 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორეს — „მაკლარენის“ სახელით 25 მოგება. თუმცა ლეგენდარულმა წყვილმა ამ შედეგს სარეკორდოდ მცირე დრო — მხოლოდ ორი სეზონი, ანუ 32 ეტაპი მოანდომა, დღევანდელები კი უკვე 77 რბოლაა, რაც ერთად დაქრიან.

კიდევ: დასაწყისში ზედიზედ ორი ჩავარდნის შემდეგ უკვე ათი ეტაპია, არც ერთი „მაკლარენი“ ფინიშამდე აღარ გამოთიშულა, ჰაკინენი კი ამასთანავე ათჯერვე ჩასათვლელ ექვსეულში იყო და კიდევ ორი წარმატების მერე რეკორდსაც დაამყარებს. იმასაც გაცნობებთ, რომ „მაკლარენთან“ მიკას თანამშრომლობა გაისადაც გაგრძელდება, რითაც ფინელი ფორმულის მორიგ უმაღლეს მიღწევას გაუმჯობესებს — ერთ გუნდში ზედიზედ ცხრა წელი აქამდე არავის ურბოლია.

„ფერარიც“ ბუდაპეშტში მეორე ადგილის წყალობით ერთობ პრესტიჟული რეკორდის შანსს ინარჩუნებს — მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ზედიზედ 14 რაუნდია, საპრიზო სამეულში არიან და „უილიამსის“ დაწვამდე სამი პოდიუმიღა დარჩათ.

რაც შეეხება „ჰუნგარორინგზე“ ზედიზედ მეორედ ტრიუმფატორს, ჰაკინენი სატურნირო ცხრილის სათავეში პირველად მოქცევით, რასაკვირველია, ძალიანაც გახარებულია, თუმცა ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას მაინც არ ანიჭებს, ფინიშამდე ხომ ჯერ საკმაოდ ბევრი, ხუთი რბოლაა: „წინ გრძელი გზაა და უკვე მომავალ ეტაპზე სიტუაცია შეიძლება საპირისპიროდ შეიცვალოს. დევიდსაც ჩემპიონობის მშვენიერი შანსი აქვს და დარწმუნებული ვარ, სამთა ჭიდილში გამარჯვებული მხოლოდ ბოლოს, მალაიზიაში გაირკვევა. ჩემს მესამე ტიტულზე დღეს ფიქრიც კი ნაადრევია. რაც შეეხება დევიდისა და ჩემს ურთიერთობას, გასაყოფი არაფერი გვაქვს. ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ არის გუნდში ლიდერი, ორივეს მხოლოდ გვაღიზიანებს. თუ სეზონის ბოლოს დევიდს ჩემი თანადგომა დასჭირდება, ცხადია, უყოყმანოდ დავეხმარები“.

მართალია, ერთი შეხედვით სიტუაცია თითქოს საყაიმოა (თანაგუნდელებს შორის ექვსქულიანი სხვაობა პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს), თანაც „მაკლარენის“ შეფი, რონ დენისი ყოველ ნაბიჯზე გაიძახის, ორივე მრბოლი თანაბარ პირობებშიაო, მაინც გვგონია, რომ ფინიშის მოახლოებასთან, ერთი-ორი ეტაპის შემდეგ მართლაც დადგება დრო, როცა რომელიმეს გზის დათმობა მოუწევს. თავად პილოტებს თუ დავუჯერებთ, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ორი წლის წინანდელი შემთხვევის მსგავსად, როცა პრაქტიკულად მოგებული რბოლა კულჰარდმა პირველ ნომერს აჩუქა, ამჯერადაც უმტკივნეულოდ ჩაივლის.

„დარწმუნებული ვარ, სიტუაცია საბოლოოდ ჩემს სასარგებლოდ იქნება და ამიტომაც გუნდი მე დამიჭერს მხარს და არა დევიდს“ — აცხადებს მიკა.

მაკლარენისეული თანასწორობაც სწორედ ესაა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ



მიკა ჰაკინენი და დევიდ კულჰარდი: რა გვაქვს გასაყოფი?!

ამანდა ადკინი



REUTERS ინდიანაპოლისიდან

გარი ჰოლი

ᲰᲝᲚᲘ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ მოცურავეთა ეროვნული პირველობა გრძელდება. შეჯიბრი იმავდროულად სიდნეის ოლიმპიადის მონაწილეებსაც ასახელებს, ამიტომ მოცურავეთა გაორკეცებული მონდომებაც გასაგებია და მაღალი შედეგებიც, ოღონდ არა მსოფლიო ღონისა. მეტწილად ამერიკის რეკორდები მყარდება. ესეც არ არის პატარა ამბავი, მაგალითად, გარი ჰოლ უმცროსის ეროვნული რეკორდი 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველა დროის მეორე შედეგია და მხოლოდ ალექსანდრ პოპოვის რუსულ „ტრაიელსზე“ (ივნისში) ნაჩვენებს ჩამორჩება. პოპოვის დრო 21,64 წამია, ჰოლი 21,76-ში ჩაეტია. ამერიკის წინა რეკორდი 21,81 წამი ყოფილა და იგი ამჯერად ფინიშთან მეორედ მისულმა, 19 წლის ენტონი ერვინმაც დაამხო — წამის მესამედი ჩამოაკლო. მესამე ნილ უოლკერი იყო (22,12), მეოთხე — 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნილ პილზუკი და აი, საინტერესო ფაქტი: იმ მსოფლიოს პირველობაზე, ორი წლის წინ პილზუკმა ავსტრალიურ პერტში რომ მოიგო, მისი დრო გუშინწინდელზე მეტი იყო.

დავუბრუნდეთ ისევ გარი ჰოლი უმცროსს, რომელიც ქუბას იმსახურებს. დიაბეტის უმძიმესი ფორმით დაავადებულმა 25 წლის ახალგაზრდამ (დიაგნოზი შარშან დაუსვეს), ძალა მოიკრიბა და ატლანტის ოლიმპიადაზე პოპოვთან დამარცხებისთვის შურისძიებას აპირებს, თუმც მეტოქის ღირსებათა აღნიშვნა არ ავიწყდება და ამას ამბობს: „სიდნეიში დიდებული გაცურავ გვეჩვება. მუდამ ასეა, როცა სტარტზე ალექს პოპოვი დგას“.

თავისუფალი სტილიო ქალთა 800-მეტრიანი გაცურავა ბრუკ ბენეტმა დაისაკუთრა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და ფინიში ამერიკის მეორე შედეგით დაასრულა (8:23,92). მას ოდნავ ჩამორჩა დაიანა გუნცი, რომელმაც წინადღეს 400-მეტრიან გზაზე პირველობა სწორედ ბენეტს წაჰგლიჯა.

17 წლის იან კროუკერმა 100 მეტრი ბატერფლაით მოიგო და მისი 52,78 წამი ამერიკის ნაციონალურ მიღწევას მხოლოდ ორი მეასედით ჩამორჩა. მერე კროუკერმა ამ გზის ნახევარზე სცადა ბედი და აქაც მესამე იყო. დისტანცია მასზე ნახევარი წამით აღრე ტომი ჰენენმა დაასრულა.

200 მეტრზე ქალთა გულაღმა ცურვაში ამანდა ადკინს ტოლი არ ჰყავდა (2:12,97), მას ლინდსი ბენკო (2:13,19) და შელი რიპლი მიჰყვნენ (2:14,25).

„ტრაიელსი“ გრძელდება...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲗᲕᲐᲚᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲐᲚᲐᲑᲔᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲘᲤᲐᲠᲔᲡ

ᲚᲝᲠᲐᲜ ᲭᲐᲚᲐᲑᲔᲠᲘ ესპანური „ონსეს“ დატოვებას აპირებს. მანოლო საისის ხელმძღვანელობით „ჟაჟა“ ცხრა წელი რბოლობდა და მას და მის სპორტულ დირექტორს ვერაფერი დააშორებთო, ამბობდნენ. თუმცა ჭალაბერისა და მთლიანად „ონსეს“ მიერ წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ჩაგდების შემდეგ საისი, ეტყობა, შეელევა თავისი გუნდის ლიდერს. ფრანგი მრბოლის ახალი გუნდი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ ეს ფრანგული „კოფიდისი“ იქნება.

ლორან ჭალაბერი

სამშობლოში დაბრუნების სურვილი თავად სპორტსმენმა გამოთქვა. ფრანგული გუნდებიდან კი მისი გადაბირება ყველაზე მეტად სწორედ „კოფიდისმა“ მოინდომა. მის სპორტულ დირექტორ ალენ ბონდიუმს ჭალაბერისადმი ინტერესი არ დაუფარავს და თქვა: „ლორანი მაღალი კლასის მრბოლია და მიუხედავად განვლილი წლების სიმძიმისა, ბევრის მოტანა შეუძლია გუნდისთვის, პირველ რიგში გამოცდილების მხრივ“.

ჭალაბერმა თავისი პროფესიული კარიერა საფრანგეთში დაიწყო — 1989 წელს მას „ტოშიბამ“ დაადგა თვალი. თუმცა ეს გუნდი ერთი წლის შემდეგ გაკოტრდა და „ჟაჟაც“ უმუშევარი დარჩა. მისით ფრანგები არ დაინტერესებულან, მანოლო საისმა კი 23 წლის მრბოლში ტალანტი იგრძნო და ყველაფერი გააკეთა მის გადასაბირებლად. „ონსეს“ სპორტული დირექტორი არც შემცდარა. ფრანგმა მის გუნდს უამრავი გამარჯვება მოუტანა, რომელთაგანაც ყველაზე აღსანიშნავია: — 3 პარიზი — ნიცა (1995, 96, 97 წლებში), 2 „ალპების კლასიკები“ (96, 98), საფრანგეთის ჩემპიონატი (98) და, რა თქმა უნდა, 1995 წლის „ვუელტა“ თავისი ხუთი ეტაპით.

ასე რომ, ჭალაბერმა თითქმის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მხოლოდ „ტურ დე ფრანსი“ აკლია, რაც მისი „ონსედან“ წასვლის ალბათ მთავარი მიზეზიცაა. წლეულს მანოლო საისმა „ჟაჟასთვის“ სპეციალური პროგრამაც შეიმუშავა, რაცა „ტურზე“ წარმატებით გამოსულიყო. ჭალაბერი სეზონის დასაწყისში ბევრს არ რბოლობდა, ძალები რომ დაეზოგა, თანაც ფსიქოლოგიც დაიქირავა. თუმცა 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ინდივიდუალურ რბოლაში „ტურზე“ დიდი მარცხი განიცადა. ორი დღის მანძილზე ლიდერის ყვითელი მაისურის პატრონმა საბოლოოდ 54-ე ადგილი დაიკავა და გამარჯვებულ ლენს ამსტრონგს თითქმის ორი საათით ჩამორჩა. საისმაც განაცხადა, რომ „ჟაჟა“ „ტურს“ ვერასოდეს მოიგებსო და მას ახლა სხვა ძლიერი მრბოლის გადაბირება სურს.

ლორან ჭალაბერსაც წასვლის მეტი რაღა დარჩენია.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲛᲝᲜᲑᲚᲐᲜᲛᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲐ

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ სირთულისა და სიმაღლის მწვერვალზე ლაშქრობა რომ სახიფათოა, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მონბლანზე. ეს მწვერვალი დასავლეთ ევროპის უმაღლესი პიკი კი არის, მაგრამ მასზე ასვლა არც სიმაღლისა და არც სირთულის თვალსაზრისით პრობლემას არ წარმოადგენს.

და მაინც, გუშინწინ ამ მწვერვალის ფერდობზე დატრიალდა ტრაგედია, რასაც ხუთი მთამსვლელის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ ცამეტი დაშავდა. ისინი რონდოს ფერდობზე 3800 მეტრის სიმაღლეზე იყვნენ, როდესაც თავს ზვავი დაატყდათ.

დაღუპულები საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მოქალაქენი არიან. დაშავებულთაგან ცამეტი საფრანგეთის ქალაქ შამონის საავადმყოფოში ჩაიყვანეს, ორნი კი იტალიის ქალაქ პოსტაში.

მაშველთა ვარაუდით, ზვავის ჩამოწოლის მიზეზი ალბათ უჩვეულოდ თბილი ამინდებია, რომლებიც ამ რაიონში გრძელდება.

ᲐᲗᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲥᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

პალიოს დოღი

იტალიის ქალაქ სიენას იპოდრომი ალბათ უძველესია მსოფლიოში — 1224 წლიდან არის ცნობილი. იქ ყოველწლიურად იმართება ე. წ. პალიოს დოღი, რომელიც 1967 წლამდე შუასაუკუნეობრივი ადათებით ეწყობოდა და ცხენოსანთა და ცხენთა დასახიჩრებით იყო განთქმული. ჩვენს დროში პალიო ცივილურია. და სწორედ დღეს გაიმართება.

შეინიანსა, კაცო?

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, მეხიკოს „აცტეკაზე“ მექსიკის ნაკრებმა კანადისა დაამარცხა. კანადელები ფრიად უცნაურად გამოიყურებოდნენ. ერთმანეთში ხმამაღლა დავობდნენ და პოლ სტარტერემ, „აი, ამხელაც“ კი აჩვენა ჯეისონ დე ვოსს.

ბარბი და ბეკი სიდნეიში

 მაღაზიებიც მისახედია. უფრო სწორად, მიხედილია. სიდნეიში ოლიმპიური სუვენირებისა და ტანისამოსის ოკეანე ბობოქრობს. ჰოუმბუშ ბიჩზე საერთოდაც ოლიმპიური საქონლის სუპერმაღაზია იხსნება. სხვა ოლიმპიურ მაღაზიაში კი, ქალაქის დასავლეთში, უკვე გამოფინეს წლის სიახლენი, ოლიმპიურად მორთული „ბარბის“ თოჯინები, რომელთა ფასიც თვრამეტი დოლარია. ნაირნაირ ეროვნულ ფორმებში გამოწყობილ ბარბის გულზე ვერცხლის მედალი ჭიდია. უფრო ძვირია, ბარბის ამხანაგი ბეკი, რომელიც ინვალიდ სპორტსმენს განასახიერებს და ოქროს მედლითაა დამშვენებული. ბეკი 45 დოლარი ღირს. სიდნეიდან შორს კი, მონრეალის მაღაზიაში, ავსტრალიურ რეპორტაჟს უცქერენ. ქეროლაინ ბრუნე კანადის ნაკრების მედროშე იქნება ოლიმპიადის გახსნაზე და თავის პირველ სიდნეურ შთაბეჭდილებებს უზიარებს თანამემამულეებს.

პეკინში კი უკვე სულ სხვა დღისთვის ემზადებიან. ჩინეთის დედაქალაქი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას უმიზნებს, პეკინის ოლიმპიური სიმბოლო კი უკვე მოედანზეა აღმართული.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge